# დროშა

№

ეროვნული ბიბლიოთეკა

221
1924



ვლადიმირ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი) დ. 1870—1924 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი.


**ტროცკი.**—ლენინის გარდაცვალების გამო.
**არტემ კვირიკაძე.**—დიდი მასწავლებელი.
**ი. ხონელი.**—ცრემლიანი სტრიქონები.
**კ. ორაგველიძე.**—ლენინი.
**ი. გედევანიშვილი.**—ლენინისთვის.
**პ. სამსონიძე.**—ლენინის დასაფლავებაზე.
**ვ. გაფრინდაშვილი.**—ლენინ.
**ს. შანშიაშვილი.**—ლენინი ციურიხში.
— ვლადიმირ ლენინი (ბიოგრაფიული ცნობები).
— უმთავრესი მომენტები ამხ. ლენინის ცხოვრებიდან.
**ნ. ემელიანოვი.**—საიდუმლო კარავი.
**პაოლო იაშვილი.**—ლენინ.
**მაქსიმ გორკი.**—ვლადიმირ ილიასძე ლენინი.
**არიელი.**—ლენინის კვირა.
**ა. ლიცინოვი.**—ლენინი ლენინზე.
კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.
ქრონიკა და ლენინის სხვა და სხვა დროინდელი პორტრეტები.



დაიბეჭდა 1924 წ-ლ და გამოვიდა

**კედლის კალენდარი და მოძრავი კალენდარი**

გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეტანილია: **სამეცნიერო საეკონომიო სამეურნეო სამხატვრო და სალიტერატურო მასალები**

კალენდარი სუფთად და მხატვრულადაა გამოცემული.

ფასი ერთი მან. ჩერვ.

მოკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყობი სახელმწიფო გამომცემლობა ლორის მელიქ. ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | მისამართი: |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . 100 მ. ჩერ. | სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. ჩერ. | რედაქციის და კონტორის რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . 50 მ. „ | ერთი თვით . . . 40 კ. „ | მიიღება ხელის მოწერა დილის 9—3 საათამდე. |
| მეოთხედი გვერდი . 35 მ. „ | ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „ | |

№ 7 კვირა, 27 იანვარი 1924 წ. № 7

1 571

## ლ. ტროცკის წერილი.

ლენინის სიკვდილის გამო.

ლენინი არ არის.., აღარა გვყავს ლენინი. ბნელმა კანონებმა, რომლებიც განაგებენ სისხლის ძარღვების მუშაობას, შესწყვიტეს ეს სიცოცხლე. მედიცინა უძლური აღმოჩნდა იმის შესრულებაში, რასაც მისგან გულის ფანცქალით მოელოდენ და მოითხოვდენ მილიონ ადამიანთა გულები.

და რამდენია მათ შორის ისეთი, რომლებიც წარბ შეუხრელად და დაუფიქრებლად დასთმობდნენ თავის სიცოცხლეს, თავის სისხლს უკანასკნელ წვეთამდი—რომ გააცოცხლონ, განაახლონ უდიდესი ბელადის, ლენინის, ილიჩის, ერთად ერთის და გაუმეორებელის სისხლის ძარღვების მუშაობა.

მაგრამ სასწაული არ მოხდა იქ, სადაც უძლური აღმოჩნდა მეცნიერება.

და აი, ლენინი აღარ გვყავს... ეს სიტყვები ისეთი სიმძიმითვარდებიან ჩვენ გონებაში, როგორც უზარმაზარი კლდე ზღვაში.

შეიძლება ამის დაჯერება?

შეიძლება ამის აღიარება?

მთელი ქვეყნის მშრომელთა აზრი არ მიიღებს ამ ფაქტს: ვინაიდგან ჯერ კიდევ ძლიერია მტერი, ვინაიდგან ჯერ კიდევ გძელია გზა, ვინაიდან ჯერ კიდევ დაუსრულებელია მუშაობა—უდიდესი ისტორიაში. ვინაიდან ლენინი ესაჭიროება მსოფლიო მუშათა კლასს უფრო მეტად, ვიდრე, შესაძლებელია, არავინ არ დასჭირდება მას კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ათ თვეზე მეტი გრძელდებოდა ავადმყოფობის მეორე შეტევა, უფრო მძიმე, ვიდრე პირველი. სისხლის ძარღვები--ექიმების მწარე გამოთქმით--სულ მუდამ „თამაშობდენ“: ეს იყო საშინელი თამაში ილიჩის სიცოცხლესთან. შესაძლებელი იყო გაუმჯობესებაც, თითქმის სრული განკურნება. მაგრამ მოსალოდნელი იყო კატასტროფაც.

ჩვენ ყველა გაუმჯობესებას მოველოდით. მაგრამ მოხდა კატასტროფა. სუნთქვის ცენტრმა ტვინში უარი სთქვა სამსახურზე—და ჩააქრო გენიალური აზრის ცენტრი.

და აი აღარ არის ილიჩი...

პარტია დაობლდა.

დაობლდა მუშათა კლასი. სწორეთ ამ გრძნობას იწვევს მასწავლებელ—ბელადის სიკვდილის ამბავი.

როგორ წავალთ წინ! ვიპოვნით გზას? ხომ არ დაგვებნევა გზა? ვინაიდან ლენინი, ამხანაგი, ჩვენთან აღარ არის.

—ლენინი არ არის, მაგრამ არის ლენინიზმი.

უკვდავი ლენინში—მისი მოძღვრება, მისი მუშაობა, მისი მეთოდი, მისი მაგალითი—ცოცხალია ჩვენში, იმ პარტიაში, რომელიც მან შეჰქმნა, იმ მუშურ სახელმწიფოში, რომელსაც მეთაურობდა და მმართავდა. ჩვენი გულები ამჟამად იმიტომ შეიპყრო უსაზღვრო სევდამ, რომ ჩვენ ყველანი, ისტორიის წყალობით, დავიბადეთ ლენინის თანამედროვეებათ, ვმუშაობდით მასთან ერთად, ვსწავლობდით მისგან.

ჩვენი პარტია არის ლენინიზმი მოქმედებაში.

ჩვენი პარტია არის მშრომელთა კოლექტიური მთელი... და თითეულ ჩვენგანში ცოცხლობს ლენინის ნაწილი—ის, რაც შეადგენს თითეული ჩვენგანის საუკეთესო ნაწილს.

როგორ წავალთ წინ? ლენინიზმის ლამპარით ხელში.

ვიპოვით გზას?

კოლექტიური აზრით, პარტიის კოლექტიური ნების ყოფით—ვიპოვით.

და ხვალ, ზეგ, ერთი კვირის შემდეგ, ერთი თვის შემდეგ ჩვენ შევეკითხებით ჩვენ თავს: ნუ თუ ლენინი აღარა გვყავს? ვინაიდან ბუნების წარმოუდგენელ,

სპეც ... ერთვნ...

ნელ თვითნებობათ წარმოგვიდგება და დიდხანს კიდევ ასე წარმოვიდგენთ მის სიკვდილს.

დეე, ნემსის ჩხვლეტა, რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით და ვგრძნობთ ყველასათვის იმის გახსენების დროს, რომ ლენინი აღარ გვყავს, შეიქნეს ჩვენთვის გახსენებათ, გაფრთხილებათ, მოწოდებათ: შენი პასუხისმგებლობა გაიზარდა: გახდი აღმზრდელი ბელადის ღირსი!

მწუხარებით, გლოვით შევამტკიცოთ რიგები, შევაერთოთ გულები, შევაერთოთ ისინი ახალი ბრძოლისათვის...

ამხანაგებო, ძმებო, ლენინი აღარა გვყავს. მშვიდობით, ილიჩო!

მშვიდობით ბელადო!

ლ. ტროცკი.

ტფილისი, სადგური
22 იანვარი. საღამოს 8 საათი.



ჩვილი ლენინი.

# დიდი მასწავლებელი

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება“...

დღეს მთელ მსოფლიოში ყველა ერთი აზრით, ერთი ადამიანის სახელით არის გამსჭვალული. ზოგის გულში ეს ადამიანი იწვევს აღფრთოვანებას, სიყვარულს, ღრმა პატივის-ცემას; იგი არის იმედი მილიონი ხალხებისა. მას შეჰყურებდენ როგორც უდიდეს მებრძოლს, რომელმაც გადალახა ძველი, ხავს მოკიდებული ცხოვრების ზღუდეები. ეს ადამიანი ყველა მშრომელის გულის მესაიდუმლე იყო და არის.

ყველა სისხლის მწოველი ექსპლოატატორი ამ ადამიანს ყოველთვის ზიზღით შეჰყურებდა; მასში ისინი ხედავდენ ერთ უსაშინელეს და სასტიკ მტერს, მტერს რომელმაც არ იცოდა შებრალება მათი, ვინც ეს ცხოვრება მილიონ მშრომელთათვის ჯოჯოხეთად აქცია. ყველა ქვეყნის და ყველა ჯურის ბურჟუაზია ამ დიად ადამიანს კბილის ღრჭენით შესცქეროდა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მისთვის სიცოცხლის დღენი შეემოკლებია. მათ ბევრჯელ სცადეს ეს. მაგრამ ამაოდ. ის კი ანთებდა ბრძოლის ცეცხლს, წინ მიიწევდა, აახლოვებდა ძველი დამყაყებული ცხოვრების აღსასრულს; მან დასწურა კაპიტალისტური ქვეყნის დღენი.

მეორეს მხრით კი ის იყო მუშათა კლასის წინამძღოლი, შეუდარებელი ხელმძღვანელი ბრძოლის დროს; იგი იყო მშრომელ მასების ცემენტი, დაუშრეტელი ბრძოლის ენერგიის მიმცემი. მან მთელი დედა-მიწის მეექვსედი ნაწილის მშრომელი მასები საბრძოლველად ფეხზე დააყენა და მათ მტკიცე და ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა; დანარჩენებს კი გამარჯვების ბრძოლის ცეცხლი დაუნთო გულში.

დღეს, ამ ადამიანის სულის სიმტკიცით, შეუდარებელი ბრძოლის უნარიანობით, რევოლიუციონერობით და თავ-განწირვით, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ბრძოლაშია ჩაბმული პირ-სისხლიან კაპიტალთან; ის ამ ბრძო-



ლენინი მოწაფეობამდე.

ლაში გაიმარჯვებს, ვინაიდან მის წინ გაშლილია ამ დიდი ადამიანის ბრძოლის და მოქმედების გზა.

ეს ადამიანი არის ლენინი. ჩვენი სიამაყე, უდიდესი მასწავლებელი, ყველაზე დიდი ფალავანი რევოლიუციონურ ბრძოლებში. ის დიდი საქმე,—ოქტომბრის რევოლიუცია,—რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, რომელმაც თავდაყირა გადაატრიალა ყოველი, რაც კი ძველი ცხოვრების სული და გული იყო: კერძო საკუთრება, კაპიტალისტური წარმოება და მასზე აგებული საზოგადოებრივი ურთი-ერთობა, ლიტერატურა, იდეოლოგია,—მისი ურყევი ნებისყოფის შედეგია.

ლენინი, რევოლიუციისა და ახალი ცხოვრების უდიდესი ხელოვანი, დღეს აღარ არის; იგი გარდაიცვალა. მუშათა კლასს და საერთოდ კი ყველა ჩაგრულებს გამოუსხლტდა, ხელიდან გამოეცალა ის, ვინც 30 წლის განმავლობაში ამზადებდა მას უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის. დღეს მუშათა კლასის სული და გული სევდას მოუცავს, დანაღვლებულია იგი, რომ აღარ ჰყავს დიდი მასწავლებელი. მაგრამ ის მაინც არ შეანელებს ბრძოლის ქარ-ტეხილს და კვლავ თამამად განაგრძობს დიდი მასწავლებლის გზას, გზას ნახევრად უკვე გავლილს, გათელილს.

დღეს ყოველი ადამიანი, ყოველი მოაზროვნე, ვინც არ უნდა იყოს ის ლენინზე ფიქრობს; ზოგს მისი სიკვდილი ახარებს, ახარებს მუშათა კლასის წურბელებს, მსუნაგ ბურჟუაზიას...

ჩვენ, ვინც ლენინის მოძღვრების, მისი როგორც რევოლიუციონერის მათაყვანებელნი ვართ, არ შეგვიძლია არ ვსთქვათ, რომ ისე სასტიკად ჩვენ არავის დაკარგვა არ გვეტკინებოდა, როგორც იმ ადამიანის, რომელმაც ცხოვრების ჯურღმულებიდან გამოიყვანა მილიონი მასები და უჩვენა მათ მომავალი საზოგადოების სწორი და ნათელი გზა, რომლის ბოლოს მოსჩანს და ანათებს კომუნიზმის ბრწყინვალე ვარსკვლავი.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციამ, რომლის სულის ჩამდგმელი, თითქმის ერთად ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ლენინი იყო, ცხოვრების ზედა პირზე ამოატივტივა მუშათა კლასის ძირა ფენები, რომლებსაც მანამდე მზის სინათლე არ ენახათ. ძველი დროის ცხოვრების ეს გერები დაეწაფენ ცხოვრებას და ისეთი სისწრაფით მიაქანებენ მას წინ, რომ გულში ყველას უნთებს მომავლის იმედს, ახალისებს და აღფრთოვანებს მათ.

ლენინი არ იყო მხატვარი, ლიტერატორი, მაგრამ ის იყო უდიდესი ხელოვანი რევოლიუციისა. მან ოქტომბრის რევოლიუციით ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა მილიონი მასები, მასები უსწავლელი, გაუნათლებელი, წერა-კითხვის არ მცოდნე. ლენინის ერთი უდიდესი მოთხოვნა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ეს მუშათა კლასის სწავლა-განათლების დაწაფება იყო. ის თავის პრაქტიკულ მუშაობაში ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მშრომელთა მასები დასწაფებოდენ სწავლა-განათლებას, ვინაიდან მას სწამდა, რომ მუშათა კლასი კულტურის და ხელოვნების დარგში დიდ შესაძლებლობას იტევს.

და მართლაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მუშათა კლასი ცხოვრების ყოველ დარგში იჩენს დიდ შემოქმედებითი ნიჭს. მხატვრულ ლიტერატურაში მუშათა კლასმა წარმოშვა მთელი რიგი მწერლებისა, ამხსნელნი ახალი საზოგადოებრივობის, ახალი ცხოვრებით, კოლექტივიზმის სულით გაჟღენთილნი.

დღეს მუშათა კლასი ღრმა კვალს ამჩნევს ლიტერატურაში; ყოველ დღე იზრდება ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო პოეტების, მხატვრების რიცხვი. დღეს ჩვენშიაც და რუსეთშიც ყოველ დღე მოდიან ქარხანა-ფაბრიკებიდან ახალი ლიტერატურული ძალები, ენერგიით, სიცოცხლით აღსავსე, ახალი ცხოვრების ამსახველნი და გამმართლებელნი. სულ მოკლე ხნის განმავლობაში წარმოიშვა მთელი პლეადა პროლეტარული მწერლებისა. აქ სიცოცხლე სდუღს, ცხოვრებას მეტი სილამაზე და მიმზიდველობა ემატება. საჭიროა კიდევ სულ მოკლე ხანი, რომ მუშათა კლასმა ლიტერატურაში მტკიცეთ დაიკავოს პოზიციები.

მუშათა კლასის ოქტომბრის რევოლიუციის გარეშე მწერლებს, თან და თან ნიადაგი ეცლება; ახალ ცხოვრების ქარ-ტეხილს ველარ იტანენ და ნადგურდებიან.

ეს ოქტომბრის რევოლიუციის ცეცხლის შედეგია. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ნაპერწკალი კი ლენინმა დაანთო. მუშათა კლასის საშვალებით მან ნაპერწკალი კოცონათ აქცია, რომლის ალში გაეხვია ძველი დახავსებული ცხოვრება და ფერფლათ იქცა. დღეს მოდის და მოდის ახალი რიგები მწერლების მუშათა წრიდან. ესენი ახალი ცხოვრების მებაირაღტრენი არიან.

ლენინის მოწაფენი ლენინის გზით მივალთ.

ლენინი მოკვდა. მაგრამ დარჩა ლენინის გვარდია რკინის ენერგიით და ფოლადის ნებით აღსავსე.

ჩვენ დაგვრჩა მისი დიდიხნის გამოცდილება, ჩვენ დაგვრჩა მისი ძვირფასი ნაწერები. ყოველივე ეს ახალი თაობის სახარება იყო და იქნება. ამ ნაწერებზე არა ერთი და ორი თაობა აღიზრდება; ჩვენი „დროშაც“ ამ საქმეს ემსახურება, ამ გზას გაყვება.

ლენინი ჩვენი დიდი მასწავლებელია, იგი კვლავ დიდხანს იქნება ჩვენი ბრწყინვალე გზის მანათობელი და მისი დაუფასებელი შემოქმედება კვლავაც გაგვიადვილებს ამ გზით სვლას.

არტემ კვირიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცრემლიანი სტრიქონები

ის აქ მოვიდა ავდრიან დღეში
როცა ქვეყანა ორად ბნელოდა,
როცა სულს ვსწვავდით სიმხურვალეში
და გათენებას არვინ ელოდა.

სუფევდა ღამე გავუალ გზებით,
იყო ქვითინი და მოთქმა მწარე;
გზა არ ვიცოდით, მხოლოდ ალგზნებით
ეძებდა ნათელს სული მწუხარე.

და გარინდებით ჟამთა რბევაში
სხვა სულის კივილს ვყვებოდი მეცა,
და იყო ღამე, ბრძოლა, რევანში,
აფრა აშლილი გრგვინავდა ზეცა.

გადატირებულ ღამის სივრცეში
ვიჩრდილებოდით, მტერი გვბარგავდა,
და ჩვენს ბრძოლის ხმებს დროთა სიღრმეში
ქარი და ყინვა სადღაც ჰკარგავდა.

და ის მოვიდა ამ ბნელ ღამეში
როცა ქვეყანა ორად ბნელოდა,
როცა სულს ვსწვავდით სიმხურვალეში
და გათენებას არვინ ელოდა.

მოვიდა იგი ციური ვნება,
შიში და ზარი დასცა ორწოხებს,
და დაგვიტოვა ანდერძი, მცნება:
„ომი სასახლეთ, მშვიდობა ქოხებს“.

და მცნება საღვთო ლოზუნგათ იქცა
ის ღრმათ შეიჭრა ჩაგრულთა გულში,
თუც ცა შექანდა და გადმოიქცა
ლტოლვა მარადი იმყნება სულში.

ის ისევ სცოცხლობს სინამდვილეში,
ჩვენ ისევ მისკენ გვიჭირავს თვალი,
გლოვა და ზარი მაშვრალთ უბნებში
დროებითია და წარმავალი.

ასწევენ კუბოს დიდი მოძღვრისას,
ხვალ ბედის საზღვარს გადავსცილდებით,
და რაც დღეები გაივლის ალბად
ჩვენ უფრო მწარედ ავქვითინდებით.

გლოვის წამებში ნაბიჯს ვამძიმებთ,
ისმის ძახილი, არ არის შველა,
დაკარგულ ბელადს ცრემლით ვაცილებთ,
ბედის ეკრანზე გამოკრთის ყველა.

მოკვდა სხეულით, არ არის ჩვენში,
სიცოცხლის კარი ბედმა დაჰკეტა,
და ეს გლოვის ხმა ყველა ქვეყნებში
გადირბენს ისე როგორც პლანეტა.

ქარი ტირილით მიმოზებს არხევს,
ჩამოწვა ნისლი, ცახცახებს ვერხვი,
და გოლგოთაზე სიჩუმეს არღვევს
ციდან მომსკდარი ელვა და მეხი.

ასწევენ კუბოს დიდი მოძღვრისას,
ხვალ ბედის საზღვარს გადავსცილდებით,
და რაც დღეები გაივლის ალბად
ჩვენ უფრო მწარედ ავქვითინდებით.

**ი. ხონელი.**

# ლ ე ნ ი ნ ი.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს შეუძლია დაიკვეხოს ლენინით. ოცდაათი წლის მოღვაწეობით ლენინმა შესძლო შექმნა ისეთი მჭიდრო რიგებისა, როგორიც არის კომუნისტური პარტია. ეს პარტია არა გავს სხვა პარტიებს არც თავისი ბრძოლის მიზნებით, არც ორგანიზაციულ სტრუქტურის პრინციპებით.

კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც პირველად მოსწყდა ძველ კაპიტალისტურ ქვეყანას, გამოეყო მას და შეუდგა ახალი ქვეყნის შენებას.

იყო დაბრკოლებები, უდიდესი დაბრკოლებები... კომპარტიას სდევნიდენ ოცდაათი წლის მანძილზე ნიკოლოზ მეორის სისხლიანი ჯალათები და შემდეგ კი მენშევიკ-ესერები. სდევნიდენ მაგრამ ეს პარტია მტკიცეთ და შეურყევლათ ვიდოდა წინ ერთხელ არჩეულ გზით.

ლენინი სული იყო ამ პარტიის, ლენინი გული იყო ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის.

მას ახასიათებდა განსაკუთრებული თვისებები: რკინის ენერგია, ურყევი რევოლიუციონური ნებისყოფა, გამბედაობა, ენტუზიაზმი. ყველა ეს თვისებები აუცილებელია მებრძოლ პროლეტარიატის ბელადისათვის.

ლენინმა არ იცოდა დასვენება, თავისი საკუთარი თავი; კაპიტალისტური საზოგადოების ინდივიდუალიზმისაგან სრულიად განთავისუფლებული, ის მთელი თავისი სულით და გულით, მთელი თავისი არსებით მომავალ კოლექტივისტურ საზოგადოებას ეკუთვნოდა. აქეთკენ მოუწოდებდა (ჰეცხლის სიტყვებით... ლენინი თვით ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, თვით მიუძღოდა წინ მშრომელთ ამ ახალი ქვეყნის ასაშენებლათ...

კომუნისტური პარტია ეს კოლექტიური ლენინია. კომუნისტური პარტია ამ ხნის განმავლობაში გაიჟღინთა ლენინიზმით, შეისისხლხორცა იგი. ის ლენინთან ერთად ქმნიდა საბჭოთა ქვეყანას, ლენინთან ერთად ზიდავდა მძიმე ტვირთს რევოლიუციონური ნგრევის და აღმშენებლობისას.

კომუნისტური ინტერნაციონალიც წავიდა ლენინის გზით. ყველა ქვეყნის შეგნებული მუშები დაირაზმენ კომინტერნის დროშის ქვეშ. როდესაც მეორე ინტერნაციონალის დროშა მუშათა სისხლში ამოისვარა, მათი სისხლით შეიღება, მაშინ ლენინმა პირველათ აღმართა კომინტერნის ბრძოლის დროშა. და ის არ მოსტყუვდა. კომინტერნი გახდა უძლიერესი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიო რევოლიუციის დიდ საქმეს.

ლენინს იცნობს მთელი ქვეყნის მუშები. ის ბელადია არა მარტო საბჭოთა კავშირისა, არამედ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს მშრომელთა. ლენინის სახელს სწყევლიდა და სწყევლის ბურჟუაზია, დაჩაგრული კლასები კი მას ქებადიდებას უგზავნიდენ.

დღეს ეს ლენინი გამოეცალა ჩვენს რიგებს...

მტრები ფიქრობენ: ლენინი მოკვდა, ყველაფერი გათავდა, კომპარტია დაიღუპებაო და სხვ. ვინც ასე ფიქრობს ის მხოლოდ თავის თავს ატყუებს.

ლენინი ძლიერი იყო და არის მით, რომ მას მიჰყვებოდა და მიყვება მილიონები. ლენინი ძლიერი იყო მით, რომ მშრომელთა მასსები მიდიოდენ ლენინის მიერ დასახულ გზით.

ეხლა?

ეხლა მშრომელნი კიდევ უფრო შემოკრბებიან ლენინიზმის გარშემო, კიდევ უფრო შეამჭიდროებენ რიგებს. ლენინი და ლენინიზმი უძლეველია, რადგან მისკენ არის დრო, ჟამი, ისტორია. ჩვენი მტრების კბილთა ღრჭენა და იარაღის ჟღარუნი მომავალშიც ჰპოვებენ შესაფერ პასუხს.

ლენინი მოკვდა და მას დღეს ვასაფლავებთ... მაგრამ კვლავ სცოცხლობს და იცოცხლებს ლენინიზმი, მისი რკინის რაზმი. მდაბლათ თავი მოვიხაროთ ლენინის ცხედრის წინაშე! შეუპოვრათ და მედგრათ ვიაროთ წინ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით... ეს არის თავდები ჩვენი გამარჯვებისა.

კ. ორაგველიძე.

# ლენინისათვის!

სამოქალაქო ომი გაჩაღებულია. ყველგან თითქმის მუდამ დღე საშინელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს, ბრძოლა შეუპოვარი, დაუნდობელი, მხეცური. „ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო“, ძველად იყო ნათქვამი, მაგრამ კლასი კლასისათვის კი ნამდვილი ფოცხვერი ყოფილა, რომელიც მშიერი თუ მაძღარი მტერს მაინც ეკვეთება.

სოფელ მ—სთან წითლების სულ მცირე რაზმს დავალებული აქვთ პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ხიდის დაცვა.

ამოცანა მარტივია, მაგრამ ბრძანების ბოლოში სულ მოკლედ და აგრეთვე მეტად მარტივად მოწერილია: „ან დაიცავით, ან ყველამ თავი შეაკალით, ოღონდ ორი საათით შეაჩერეთ მტერი!“ მეტი არაფერი. მაგრამ ამოცანა ყველა დამცველისათვის ადვილი გასაგებია. და აქ ხომ მხოლოდ გაგება და შეგნებაა საჭირო. რა ადგილი უნდა ჰქონდეს მსჯელობას.

„ან დაიცავით, ან მოკვდით!!.. ორი საათით, ორი საათით“!..

უთვალავი ძალით მოაწყდა მტერი წითლების პატარა რაზმს. აგრიალდა ზარბაზნები, გაისმა ტყვიამფრქვევების გულშემზარავი რახა-რუხი... სკდება ყუმბარები, ერთი მეორეს მოსდევს, ააქვთ კორიანტელი, ადის ზევით ამოგლეჯილი მიწის მტვერი და თან მიაქვს მოწყვეტილი ხელი, ფეხი ადამიანისა... შეიქმნა ჯოჯოხეთი...

ერთი საათის განმავლობაში წითლების ისედაც მცირე ჯგუფი განახევრდა... შავები კი მოდიან, მოდიან უთვალავნი... ვით შავი ყორანნი მოედნენ მთელს არე-მარეს... ჰქუხს და სჭექს ზარბაზანი, საზარლად რაკრაკებს ტყვიამფრქვევი, მაგრამ წითლები მაინც მაგრად არიან...

კიდევ ნახევარი საათი... ნახევარი საათი დარჩა!.. მაგრამ ვინღაა დამცველი: მძიმედ დაჭრილი ტყვიამფრქვეველით, მეთაური და ერთი მსროლელი. მაგრამ ტყვიამფრქვევი მაიც მუშაობს, არ უშვებს შავებს ხიდთან ახლოს...

გასკდა ახალი კარგათ დამიზნებული ყუმბარა... უცნაურად შემოკოტრიალდა წითლების მეთაური და პირქვე დაეცა იქვე, მის მახლობლად ფართხალობდა წითელი მსროლელი, რომლისათვისაც ყუმბარის ნატეხს თავი გაეჰეჭყა...

მუშაობს მარტო ტყვიამფრქვევი, არ უშვებს ხიდთან ახლოს შავებს...

ორი საათი სრულდება. კიდევ ახალი ყუმბარა. გადატრიალდა ტყვიამფრქვევი და თან გადაჰყვა კვლავ ტყვიით განგმირული ტყვიამფრქვეველი მასთან მომუშავე, მაგრამ ხელიდან მაინც არ უშვებს მანქანას... ძალა მიხდილს, მომაკვდავს ველარ მოუმართავს იგი... მუცელში ორ ადგილას მძიმედ არის დაჭრილი.

მაგრამ ორმა საათმა უკვე განვლო. ამოცანა შესრულებულია... აღსრულებულია მარტივი მხოლოდ კატეგორიული ბრძანება.

წითლებში არავინ გადარჩა... წითელი სისხლით შეიღება ხიდი... მაგრამ ბრძანება შესრულებულია.

შესწყდა ბრძოლა. შავები გავიდნენ ხიდს, არ იცოდნენ თუ რა ძვირად დაუჯდებოდათ იქ წინ ეს პაწია ხიდი და აქ დათხეული წითელი წმიდა სისხლი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ბრძოლის ველზე. აქ იქ მოსჩანს დახოცილთა გვამები.

უცბად ბუჩქებიდან ორი სამი კაცი, შავი ლანდებივით დაძრწიან, ათვალიერებენ არემარეს... მიუახლოვდნენ ხიდს, დაუწყეს სინჯვა დახოცილ წითლებს, უშინჯავენ ჯიბეებს, აძრობენ ტანთ და ფეხთსაცმელს...

ერთი მათგანი მოუახლოვდა ტყვიამფრქვეველს...

„ო-ო, შე წითელო ძაღლო, ცოცხალი ხარ?“ საზარლად შეჰკივლა მომაკვდავს.

მას უცქერიან საშინელი ტანჯვით სავსე თვალები მუდარით, ხვეწნით.. ძლივს ისმის ოდნავი კვნესა...

„აეხირე!... შენთვის ტყვიას არ გავაფუჭებ... ჩამოგახრჩობთ როგორც ძაღლს!.. ადე, შე ძაღლო!“ და მაგრად ჰკრა მუცელში ქუსლი...

—„მომკალით, იქონიე მოწყალება... ვკვდები“, მოესმა მოსუსტებული, ხრინწიანი ხმა.

შავმა დაუწყო ჩხრეკა და უბიდან ამოაცალა სურათი... სურათი რომელიღაც ერთ ჟურნალიდან იყო ამოჭრილი... წითელს მუდამ უბეში გულთან დაჰქონდა.

შავი დააცქერდა სურათს...

„ო-ო, ლენინი!“ და მიაფურთხა სურათს. თითქოს გახურებული რკინის შამფური ჩასცეს ისედაც გავარვარებულ მუცელში და შიგ მოატრიალესო, გველივით ნაკბენი ისე წამოხტა მომაკვდავი წითელი, მისწვდა ყელში შავს და მაგრად მოუჭირა ხელები...

„მაგას კი არ შეგარჩენ!.. ღრჩობით მისძახა წითელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფრო მოუჭირა ყელში ხელები. რკინის სალტესავით მოეჭირა ეს ხელები შავს, ხელები უკვე მკვდარი ადამიანისა.

ბევრი ეცადა, ბევრი იტორტმანა შავმა, მაგრამ ვერ მოიშორა საშინელი ხელები და მალე გულწასული დაეშვა მიწაზე და ზედ დააწვა წითელი ტყვიამფრქვეველის გვამი, ხელები კი ყელს არ შორდებოდნენ და უფრო და უფრო უჭერდნენ ყელს. შავს თვალები საზარლად გადმოუცვივდა, ენა გადმოაგდო... დაიხრჩო, წითელის ქვეშ მოყოლილი!..

ვინ იყო წითელი ტყვიამფრქვეველი? მისი სახელი, გვარი?..

არ ვიცი... ვიცი მხოლოდ ერთი მრავალთაგანი...

ან რა საჭიროა სახელი გვარი?.. ის ხომ მოკვდა ლენინისათვის!

განა ეს საკმარისი არ არის?!

ი. გედევანიშვილი.



ლენინი კრებაზე.

## ლენინის დასაფლავებაზე

ლენინ...
მილიონები იყო შენი მზე
და მათი რისხვით შორს გაქანება
შენ—უსწრაფესმა ელექტროს ჩქერზე—
გადააქციე ცეცხლის ქარებათ...
...და უყიოდი გმირებს ხმა-მაღლა:
„აუ! მესია!.. მედგრათ წინ, წინ, წინ...
დე, თქვენმა სულმა არ იგრძნოს დაღლა...
საბედისწერო დღეა-დღეს მიწის...
ალ-მოდებული ქვეყანა იწვის...
აუ! მესია!.. მედგრათ... წინ, წინ, წინ!..“
სისხლის ნაჟურში გამოისმოდა
ლენინ!.. ეს შენი ცეცხლის არია!..
და განახლების ეტლს ქაოსიდან
მიაქანებდი როგორც ქარია...
შესძარ მსოფლიო... დაფლითე ზეცა
ააკანკალე ოქროს მოგვები...
ბებერ ქვეყანას მეხათ დაეცი
საბედისწერო ბრძოლის მოგებით
და დღეს...
ოჰ, ნეტავ ეს ბაცილები
რათ გვიშხამავენ ჰაერს ბრწყინვალეს?!
რათ წამლავს ფიქრი გარდაცვალების
ჩვენს განახლებას, ჩვენს სიყმაწვილეს?!!
ლენინ!..
ცრემლით გვაქვს სავსე თვალები...
კვნესის ნიავი...
გლოვობს მიდამო...
დღეს ცრემლიანი მადრიგალები
ცეცხლის სიტყვების ნაცვლათ ბინადრობს...
მაგრამ...
შენ, ლენინ!..
ჩვენთან ხარ მარად...
სისხლის დროშები ჩვენს სულს აანთებს,
და ისევ ცეცხლათ
და ნიაგარათ
მოვევლინებით ქალაქებს და მთებს
და ძეგლს დაგიდგამთ
უძვირფასესო!..
ძეგლს—კომუნიზმის მზით განათებულს
რომ შენი სულით- სული გაევსოს,
თვით განახლებულ:
დედამიწის ბურთს...

პეტრე სამსონიძე.

ბიბლიოთეკა

# ლ ე ნ ი ნ

მთელი თფილისი შეიმოსა ყორანის ფერად.
იანვრის მტკვარი ახმაურდა მეტ მწუხარებით.
გარდაიცვალა ლენინი—ტოლი რესეფესერის და რევოლიუციის.
სახელი—გავარდნილი, როგორც მეტცენგერშტეინ.
თფილისში მოულოდნელად გამოჩნდა ტროცკის აჩრდილი,
და მან პირველმა დაიტირა მსოფლიოს გმირი.
მისი პორტრეტის წინაშე
სდგას საპატიო ყარაული:
ჯარისკაცი და კომანდორი,
გიმნაზიელი და სტუდენტი,
ფილიპე მახარაძე და ლევან ლოლობერიძე.
თვით უხუცესი რევოლიუციის—მიხა ცხაკაია,
არის ამართული, როგორც ქანდაკება.
ისეთი სახით სდარაჯობენ ლენინის სურათს,
თითქო ის თვითონ განისვენებს იმათ წინაშე—
და ეშინიათ შეაშფოთონ ბელადის ძილი.
თეატრები გლოვობენ ლენინის სიკვდილს
დუმილით და თ.ლხით.
სტამბები გაშმაგებით მუშაობენ და როგორც როიალები
უმღერიან დიდებას ლენინს.
ამ დღეებში ქალაქის რეჟისორია კოტე მარჯანიშვილი,
რომელმაც ჩამოიყვანა ღრუბლები ციდან და სახლებზე დაჰკიდა.
მე დავაყენებდი ლენინის წინაშე გამლეტს და ოფელიას...
უკანასკნელად ეთხოვება მსოფლიო ლენინს:—
ის იყო: სტეპან ხალტურინის ნებისყოფა
და ჟელიაბოვის ინტელექტი, ის იყო მერიდიანის გაქანება და თრთოლვა.
ის იყო უნაზესი სახელი, რომელსაც არქმევენ ბავშებს,—
მობრუნებული ნინელ.
თან ირონიული და სხივოსანი ღიმილი,
თან სოკრატის შუბლი, რომელიც შეატრიალებს მიწას.
გათავდა აგონია—დაეცა წვეთი,
მაგრამ იქნება კაცობრიობაში მისი სახელის
მარადი რეზონანსი.
ელლინური გმირები, და ღმერთები—პერიკლ, ზევესი
გაფითრდებიან და საუკუნეების სიმაღლეზე
დადგება ლენინი.
მე მაგონდება ტოლსტოის სიკვდილი,
როცა რუსეთში დაიკივლა ტკივილისაგან.
პოეზია დაეუფლება ლენინის სახელს, როგორც ისტორია.
იქნება პეტროგრადის მაგივრად—ლენინგრადი—
სატახტო ქალაქი.
შეიქმნა ახალი მითი, ბრწყინვალე და ხმიერი,
როგორც ნიაგარა.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინი გიმნაზიელი.

# ლენინი ციურიხში

მოგონება

ეს მოხდა 1910 წელს.

მე ექვსი თვის ჩასული ვიყავ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში.

ვცხოვრობდი ემიგრანტ სოლომონ დოლიძესთან.

დოლიძე 1906 წელს რკინის გზებზე გაფიცვებს მეთაურობდა. შვეიცარიაში იწერებოდა ბენდიანიძედ. ითვლებოდა იქაურ მოქალაქედ და მუშაობდა ავტომობილის ქარხანაში.

ჩვენთან ხშირად დაიარებოდა თედო კალანდაძე.

ყოველ საღამოს გვქონდა სჯა-ბაასი.

ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე ერთი სტუდენტი, რუსეთიდან გამოძევებული, დევნილი ებრაელი მ. შულგინი—პოეტი და ლიტერატორი.

ერთს საღამოს გაცხარებული ლაპარაკი გვქონდა.

მე და შულგინი ვეკამათებოდით სოლომონ დოლიძეს. ის ჩვენ, როგორც იდეალისტებს, გვამარცხებდა და ბრაზი მოგვდიოდა.

ერთხელ ასეთს კამათის დროს შემოვიდა თედო კალანდაძე და გვითხრა: იცით, ციურიხში ლენინი ჩამოსულა და ხვალ საჯარო მოხსენებას გააკეთებსო.

მე ყველაზე ძალიან დავინტერესდი. შევეხვეწე თედოს: თუ ძმა ხარ, მოხსენებაზე წამიყვა მეთქი!

თედო ჯერ გამეხუმრა: პოეტებს რა ხელი გაქვთ პოლიტიკასთანაო, მაგრამ შემდეგ დამპირდა, ბილეთს გიშოვნი, შემოგივლი და ერთად წავიდეთო.

მოხსენება დანიშნულ იყო საღამოს შვიდს საათზე.

მეორე დღეს ჩვენ ოთხივენი ხუთს საათზე დანიშნულ ადგილს მივედით.

ჩვენ გვეგონა, ყველაზე ადრე მისულები ჩვენ ვიქნებოდით, მაგრამ სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა.

ემიგრანტების დარბაზი ხალხით უკვე გაჭედილი იყო. შევედით.

ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკობდნენ...

სოლომონ დოლიძემ შორიდან დამანახვა სხვა და სხვა პარტიის მოღვაწენი. ყველანი ციურიხს თავს აფარებდნენ.

აქ იყვნენ: მარტოვი, მარტინოვი, ესერები, ბუნდისტები, ობნოვლენცები და სხვები.

ვკითხე: ლენინი რომელია—მეთქი? ლენინი ჯერ არ მოსულიყო.

ყველაზე ძალიან ლენინის დანახვა მეინტერესებოდა, რადგან, ჯერ ისევ თბილისში ყოფნის დროს მ. დარჩიაშვილის ოჯახში, სადაც მე ვიზრდებოდი და სადაც ხშირად დაიარებოდნენ: ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, და სხვა რევოლიუციონერები, ხშირად მესმოდა ლენინის სახელი, როგორც ბოლშევიკების ბელადის და მე მყავდა ის წარმოდგენილი უზარმაზარ კაცად.

კიბის ამოსავალში გაისმა ტაშის ზრიამული.

მე, როგორც პროვინციელმა, ხალხს ხელი მივკარმოვკარ; მინდოდა მალე დამენახა ლენინი.

არ დავინდე მანდილოსნებიც კი და მომაძახეს: Sei ordnung!

დავინახე: კიბეზე მოდიოდა უბრალოდ და სადად ჩაცმული კაცი.

ეს იყო ლენინი.

ტაშს უკრავდნენ. ყვავილებს ესროდნენ. მისი ნაცნობები სალამს აძლევდნენ. მე წარმომედგინა ლენინი მაღალ-მაღალ, ახოვან ადამიანად, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ის იყო შუა ტანის კაცი: ოდნავ წითური, გამხდარი და დანაოჭებულის სახით. ჩაცვივნული თვალებით და მთლად შუბლად ქცეული, ჭაღარა შერთული.

მარტოვი და მარტინოვი მიესალმნენ.

სცენაზე მიიწვიეს. ერთი სათვალებიანი, ჯმუხის ტანის კაცი,—მე გვარი აღარ მახსოვს,—თავმჯდომარედ აირჩიეს. თავმჯდომარე მცირე სიტყვით მიესალმა ლენინს და თავისი ადგილი დაუთმო.

ლენინმა დაიწყო ლაპარაკი.

ჯერ ილაპარაკა საერთო პოლიტიკაზე, შემდეგ გადავიდა რუსეთზე. შეეხო სახელმწიფო სათათბიროს, დაგმო იგი. შეეხო კლასთა ბრძოლას. ხანგრძლივად ილაპარაკა ეროვნულ საკითხზე და სხ..

პირველად ლაპარაკობდა მძიმედ და დამშვიდებით, შემდეგ, თითქოს ვისმეს მოწინააღმდეგეს ეკამათებაო, მისი ტონი მაღლდებოდა და ცეცხლი ედებოდა.

ყველანი სულგანაბულნი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ. ყველა დაიპყრო. ის, საშუალო, გამხდარი კაცი ჩემ თვალწინ გაიზარდა და რაღაც ბუმბერაზად მეჩვენებოდა.

მას შემდეგ განვლო თოთხმეტმა წელმა. და ის კაცი, რომელსაც მე ციურიხში შევხდი მოხსენებაზე შემთხვევით და რომლის სიდიდეს ნათლად ვერ ვგრძნობდი, გადაიქცა საერთაშორისო რევოლიუციის ბელადათ.

მან დაჩრდილა წარსულის ყველა გმირების დიდი სახელები.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ვლადიმირ ლენინი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ვლადიმერ ლენინი დაიბადა 1870 წ. ქ. სიმბირსკში სახალხო სასწავლებლების დირექტორის ოჯახში.

ლენინის მამა ჩამომავლობით გლეხი იყო. ის დიდხანს მუშაობდა ვოლგაზე სახ. სასწ. დირექტორად და დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული როგორც ამხანაგების ისე მთელი მოსახლეობის.

მამა დედაზე უფრო ადრე მოუკვდა ლენინს. უკანასკნელი გარდაიცვალა 1913 წ.

ემიგრაციაში ცხოვრების დროს, მეფის მთავრობის მიერ დევნილი ლენინი ხშირად მიემგზავრებოდა შვეციაში თავისი მოხუცი დედის მოსაფერებლათ და მოსაალერსებლად.

ვლადიმერ ილიჩი სწავლობდა სიმბირსკის კლასიკურ გიმნაზიაში. 1887 წ. 8 მაისს შლისსელბურგის ციხეში ჩამოარჩჩეს მისი უფროსი ძმა ალექსანდრე ულიანოვი, რევოლიუციონერი და ტერრორისტულ ჯგუფებში მონაწილე. სხვასთან ერთად მას ბრალდებოდა ალექსანდრე მესამის მკვლელობის მოწყობა.

სიმბირსკის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ლენინი შედის ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რადგან დიდი ქალაქების უნივერსიტეტების კარები მისთვის დახურული იყო. ლენინი სტუდენტად მაინც დიდ ხანს არ დარჩენილა. 1888 წ. თებერვალში სტუდენტურ რევოლიუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის ის გამორიცხეს უნივერსიტეტიდან და გადაასახლეს ყაზანის გუბერნიის მივარდნილ კუთხეში. მას რამდენჯერმე განუცხადეს უარი უნივერსიტეტში ხელახლა მიღებაზე და მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ 1891 წ. მას მიეცა საშუალება სასწრაფოდ ჩაებარებინა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტი იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ლენინი იმყოფებოდა პოლიციის სასტიკი თვალყურის ქვეშ. მას აღკრძალული ჰქონდა გამგზავრება საზღვარ-გარედ.

1888—89 წლებში ლენინი თითქმის გამუდმებით ცხოვრობს ყაზანში ხოლო 1889 წლის ზაფხულში ის მიემგზავრება სამარაში, სადაც რჩება 1893 წლამდე. იქ ის უახლოვდება მარქსისტების პირველ ჯგუფის წევრებს ა. ი. სკლიარენკოსა და ი. ხ. ლალაიანცს. იმავე წლის შემოდგომაზე ლენინი ჩადის პეტროგრადში.

* * *

ლენინის პირველ რევოლიუციურ მოღვაწეობამ სტუდენტურ წრეებში ჩაიარა.

„როდესაც ლენინი დათხოვნილი იყო ყაზანის უნივერსიტეტიდან, ამბობს ზინოვიევი, ის ჩამოვიდა პეტროგრადში. და აი ის გვიამბობდა ჩვენ, თუ ჯერ კიდევ სამარაში ოდნავ გატაცებული მარქსისტული იდეებით, როგორ დადიოდა პეტროგრადში და ეძებდა მარქსისტს. მაგრამ მარქსისტების „ჯიში“ მაშინ ძალიან იშვიათი იყო. მარქსისტი არ იყო პიტერში, ის უნდა გეძებნა დღისით, სანთლით ხელში“.

ხალხოსნებმა („ნაროდნიკებმა“) დაიუფლეს მთელი ინტელიგენცია, ხოლო მუშათა კლასი ახლათ ილვიძებდა პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

ლენინი მართალია სტუდენტობაში მუშაობდა ხალხოსნურ წრეებში, მაგრამ ის ხალხოსანი არასდროს ყოფილა. ის თავის დღეში არ იზიარებდა ხალხოსნურ თეორიებს და მისი სახელის გახმაურებაც დაიწყო იქიდან, როდესაც, მან სასტიკი ბრძოლა გაუმართა რევოლიუციურ ხალხოსნობას. მაგრამ ისეთი დიდი პატივმცემელი და დამფასებელი არა ჰყოლია ამ პირველ რევოლიუციონერთა თაობას, როგორც ლენინი.

ლენინს, როგორც არავის, აზრმავებდა ისეთი სახელები, როგორც: სოფია პეროვსკაია და ჟელიაბოვი, რომელნიც ოთხმოციან წლებში ყუმბარებითა და რევოლვერებით აფეთქებდენ მეფესა და მეფობას.

ლენინს უდიდესი სიყვარულით უყვარდა პირველი დიდი ბელადი მუშათა, დურგალი სტეპან ხალტურინი, რომელმაც ნალმი მისცა „საზამთრო სასახლეს“ და რომელმაც მუშათა კლასის სახელით გაშალა წითელი დროშა პოლიტიკური ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ.

* * *

პეტროგრადში ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდა ლენინი აწყობს მუშათა წრეებს და იახლოვებს თავის გარშემო ინტელიგენტ-მარქსისტების პირველ ჯგუფს. მცირე ხნის შემდეგ ხალხოსნურ-ინტელიგენტურ წრეებში ატყდება დიდი განგაში, როდესაც ლენინი პირველ გამოსვლისთანავე თავისი ბრწყინვალე ეკონომიური წერილებით ეტაკება ნ. მიხაილოვსკის ილინის ფსევდონიმით.

1894 წ. გამოდის ლენინის პირველი და არალეგალური ნაშრომი „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს“ მეორე წელს ლენინი მიემგზავრება ევროპაში. აქ ის მცირე ხნით უახლოვდება აქსელროდს, პლეხანოვს და ზასულიჩს. იმავე წლის ენკენისთვეში ბრუნდება პეტროგრადში და აარსებს „მუშათა განთავისუფლებისათვის მებრძოლ კავშირს“.

ამ ორგანიზაციის დავალებით ლენინი აწყობს პირველ მუშათა გაფიცვებს, სცემს უბრალო ფურცლებს, რომლებიც შეიცავენ პეტერბურგელ მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებებს. მაგრამ პოლიციასაც არ სძინავს და იგი ატუსაღებს „კავშირს“ და მასთან ლენინსაც.

1896 წ. ლენინი ციხეშია. ხოლო 1897 წ. მას ასახლებენ ციმბირში. აქ სწერს წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. და „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“. ამ წიგნებით ის საბოლოოდ ამარცხებს ხალხოსნობას და „ეკონომიზმს“.

ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული როგორ დამოკიდებულებაში იყო მუშების პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაშინდელი „ეკონომისტები“ დღევანდელი მენშევიკების წინაპრები აღიარებდნენ, რომ პოლიტიკური ბრძოლა დაკისრებული ჰქონოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას, ხოლო მუშებს კი ბრძოლა ხელფასის მომატებისთვის. აქ ლენინმა პლეხანოვთან ერთად მოგვცა დიდებული ანალიზი რუსეთში მებრძოლ სოციალური ძალების.

— ჩვენ არ შეგვიძლიან ვუცადოთ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებას მუშათა პარტიის დასაარსებლათ.

ბიბლიოთეკა



მუშათა ორგანიზაციები უნდა შეიქმნეს ეხლავე ცარიზმის კირთების ქვეშე, ვიდრე ბურჟუაზია არ ჩაიგდებს მთავრობას. ხსენებული ბროშიურის დედანი ლენინმა გაუგზავნა შვეიცარიაში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს: პლეხანოვს, აქსელროდსა და ზასულიჩს, რომლებმაც სულ პირველებმა დაამყარეს რუსეთში სოციალ-დემოკრატია. ისინი მაშინ სცხოვრობდენ ემიგრაციაში 15 წელი. ამ წიგნით მაშინ აღტაცებული იყო პავლე აქსელროდი, რომელმაც საჯაროთ სთქვა, რომ პლეხანოვის შემდეგ გამოჩნდა ბელადი, მუშათა მოძრაობის პრაქტიკი, რომ ლენინი—ძალაა, დიდი მომავალის შარავანდედით მოსილი.

ასეთივე დიდი აურზაური გამოიწვია ლენინის მეცნიერულმა შრომამ ზემოდ აღნიშნულმა წიგნმა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ეს წიგნი საბოლოო დამარცხებაა ხალხოსნების. ლენინმა აქ დაამტკიცა, რომ რუსეთიც ვერ ასცდება კაპიტალიზმის სტადიას. მან ციფრების მთელი რიგით დაამტკიცა რომ რუსეთი 90-იან წლებში უკვე შევიდა კაპიტალიზმის ფარგალში.

ეს წიგნი თვით ბურჟუაზიული პროფესორებისგანაც დაფასებულია როგორც დიდი მეცნიერული ნაშრომი.

ამავე პერიოდში ლენინი აწარმოებს ბრძოლას ეგრედწოდებულ ლეგალურ მარქსიზმის წინაალმდეგ, რომლის სათავეშიც იდგენ პ. სტრუვე, ტუგანბარანოვსკი და სხ. დღევანდელი ბელადები კონტრ-რევოლიუციურ ბურჟუაზიისა. ლეგალური მარქსისტები პირველად იყვნენ თანამებრძოლები სოციალ დემოკრატიისა ხალხოსნების წინაალმდეგ და ერთხანს ბლოკიც ქონდათ შეკრული. მაგრამ ლენინის ფრთხილმა ყურმა მაშინვე აღმოაჩინა ყალბი ნოტები პ. სტრუვეს და კომპ. პირველ ნაწერებში. ლენინმა მაშინვე სთქვა, რომ ეს—მოკავშირეა მხოლოდ ერთი საათით, რომ ესენი ბოლოს ჩვენი გამცემლები შეიქნებიან.

სტრუვეს წიგნი თავდება სიტყვებით: „ვაღიარებთ ჩვენს უკულტურობას და წავალთ სასწავლებლად კაპიტალიზმთან“. ამაზედ ლენინმა ასტეხა განგაში და შეუძახა:— თქვენ ბურჟუაზიული იდეოლოგი ხართ. თქვენ მალე წახვალთ ჩვენგან, თქვენ უღალატებთ მუშათა კლასს!“

და განა არ გამართლდა ეს ყოველივე?

* * *

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ლენინი მიდის საზღვარგარედ. ეს არის მისი პირველი ემიგრაცია. 1901 წ. მარტოვთან და პოტრესოვთან ერთად ლენინი ხელმძღვანელობს გაზ. „ისკრას“. ლენინის პირველი წერილი „ისკრაში“ იყო „საიდან დავიწყოთ“ ამ წერილში მან გაშალა თავისი ახლობელი პროგრამა მუშათა მოძრაობისა და რუსეთის რევოლიუციისა. მან აქ სავსებით დასახა საფუძვლები კომუნისტური პარტიის პროგრამისა და რევოლიუციურ ტაქტიკისა. ამ წერილში მოცემულია მთელი კვინტესსენცია ბოლშევიზმის. ეს წერილი იყო კონსპექტი შემდეგში გამოსული ლენინის წიგნის, რომელსაც ჰქვიან „რა ვაკეთოთ“ ამ წიგნში ლენინმა დააყენა და გადასჭრა რევოლიუციური სულით ყველა მტკივნეული საკითხები მაშინდელი ეპოქის მოძრაობისა.

„ისკრამ“ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ეგრედწოდებულ „ეკონომიზმს“ ე. ი. მომავალ მენშევიზმს და მასთან ერთად ესერების ავანტიურიზმს. 21 წლის წინად მაშინ ახლად აღორძინებულ ესერებს მან უწოდა „რევოლიუციონური ავანტიურისტები“. თქმა იმისა, რომ ესერები იყვენ რევოლიუციონერი რომანტიკოსები და ფანტასტები, მაშინ თითქმის წინასწარმეტყველება იყო. ხოლო ამისათვის კი საჭირო იყო დიდი რევოლიუციურ-მარქსისტული ინტუიცია, ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ ლენინობა.

„ისკრა“ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად დიდ საორგანიზაციო მუშაობასაც ეწეოდა და ირგვლივ იკრეფდა დაქსაქსულ ძალებს. მან შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი. „ისკრაშივე“ მუშავდება თანდათანობით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (დღეს კომუნისტურის) პროგრამა.

მაგრამ მალე გამოირკვა უთანხმოება მარტოვთან და მერე პლეხანოვთან, რომელიც სტოვებდა მარქსიზმის პრინციპებს და თითს უწევდა ოპორტიუნიზმს. მაშინ ლენინმა გასწყვიტა კავშირი მათთან და „ისკრაც“ მათ დაუტოვა.

ახლა მან შექმნა პირველი ბოლშევიკური გაზეთი „წინ“ საიდანაც ის მწარე ტყვიებით უპასუხებდა პლეხანოვის მძიმე არტილერიას, რომლიდანაც მალე აღარაფერი დარჩენილა.

1905 წელს, საბოლოოდ გამოირკვა, რომ რაც არის ცოცხალი და მოძრავი მშრომელ პროლეტარულ რუსეთში, ყოველივე ეს გაჰყვება ბოლშევიკებს.

1905 წლის პირველმა ბოლშევიკების ყრილობამ ჩაუყარა საძირკველი დღევანდელ კომუნისტურ პარტიას და მაშინ ლენინმა აიმაღლა ხმა, რომ ჩვენ ვერ შევჩერდებით ბურჟუაზიულ რესპუბლიკის შექმნის გზაზე, რომ ჩვენი რევოლიუცია იდგება ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ გადატრიალების საზღვარზე.

1905 წლის რევოლიუციაში ლენინის როლი ძალიან დიდი იყო. მაშინ მუშათა კლასმა იგრძნო საბჭოების აუცილებლობა და ამ დროიდან ლენინის მიმდევარი გახდა. თუმცა მწარედ დამარცხდა მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება მაგრამ ბოლშევიზმის პოლიტიკა მაინც გამარჯვებული იყო.

მენშევიკები და პლეხანოვი უსაყვედურებდენ ლენინს ამ გამოსვლის გამო, მაგრამ ლენინი კარგათ გრძნობდა, რომ ეს აჯანყება იყო პირველი შეტაკება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის, რომ საბჭოები ნიშნავს მუშურ რევოლიუციას.

* * *

1908—1910 წ. ლენინი ევროპაშია და ეწევა დიდს თეორეტიულს მუშაობას. ეს იყო დრო შავი რეაქციისა, სტოლიპინის რეჟიმისა.

თითონ ლენინიც მაშინ გაჭირვებული იყო: ხშირად მშიერი, ავადმყოფი, დაქანცული ის მაინც იმედის ცეცხლს ულვიებდა მთელ მუშათა კლასს. და ეს მაშინ, როცა ბრძოლაში გაქალარავებული ბელადები გულგატეხილები გარბოდენ.

ლენინი ამ დროს ძალიან ბევრს მუშაობდა, სწერდა საპოლემიკო წერილებს, იგერიებდა მრავალ მტრებს და თანაც ნუგეშს იძლეოდა.—შავი დღეები წავა, მღვრია ტალღა ჩაივლის და რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ისევ ტალღის ქოჩორზე მოვექცევით. მშრომელთა რევოლიუცია გაჩაღდება.

ამავე პერიოდში ორი წლის განმავლობაში ლენინი არ გამოსულა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკიდან და ყოველდღე თითქმის 15 საათს მუშაობდა.

1911 წელს პეტროგრადში უკვე გამოდის ლეგალური გაზეთი „ვარსკვლავი“ და ჟურნალი „აზრი“ მოსკოვში. ამასთან სათათბიროში მუშაობს პატარა ფრაქცია და ყოველივე ამისი მეთაურია ვლადიმერი ლენინი.

ლენინის მუშაობა გაათკეცებულია თითქმის. ამასთან ის მუშებს ფრაქციის წევრებს ამზადებს, როგორ უნდა გამოვიდენ თავრიდის სასახლეში.

1912 წ. ლენინი გადადის გალიციაში და აქედან ამზადებს პეტროგრადის მუშებს. მისი კავშირი მუშებთან და ორგანიზაციასთან ისეთი მჭიდროა, რომ იშვიათად გამოდის „პრავდა“-ს ისეთი ნომერი, რომელშიაც ლენინის წერილი არ არის მოთავსებული.

ამ წერილებით ლენინი იბრძვის მარჯვნივ და მარცხნივ.

* * *

ომის დაწყებისთანვე ლენინის როლი იყო არა ჩვეულებრივი. ის პირველი ჰკრეფდა ინტერნაციონალისტების წრეებს. ლენინი მაშინ ცხოვრობდა ბერნში და შემდეგ ციურიხში. შვეიცარიის სოც. დემ. პარტია მთლად დაავადებული იყო ოპორტუნიზმით და მხოლოდ მუშების პატარა წრემ მოიყარა თავი ლენინის გარშემო.

შვეიცარიის ოფიციალურ ს.-დ. პარტიას რასაკვირველია დამშვიდებით არ შეეძლო ეყურებინა ლენინის მოქმედებისათვის, რომელსაც რუსული „ანარხიზმი“ უწოდეს. ლენინი მაშინ ცხოვრობდა ციურიხში ულარიბესი მეჩექმის ბინაზე და თითეულ პროლეტარს ეძებდა იმის ასახსნელად და ჩასაგონებლად, რომ დღევანდელი ომი—ეს იმპერიალისტური სასაკლაოა, უნდა აღდგეს მუშათა კლასი და მოსპოს ყაჩაღი იმპერიალისტები.

და მაშინ ლენინის თეზისი ომის შესახებ იყო: „იმპერიალისტური ომი უნდა გადიქცეს სამოქალაქო ომათ და სასტიკი ბრძოლა „სოციალ-შოვინიზმთან და ობორონცებთან“. ლენინის მთელი ენერგია იხარჯება სოციალ-შოვინიზმთან და იმპერიალისტურ ომთან ბრძოლაში. ამავე დროს მუშაობს „სოციალ დემოკრატში“ და ბოლშევიკების საზღვარ გარეთის სექციის ბერნის კონფერენციაში დიდ მონაწილეობას იღებულობს. მაგრამ [illegible]



ლენინი ავადმყოფი.

და ძლიერი მისი მუშაობა რევოლიუციური სოციალ-დემოკრატიის ძალების ორგანიზაციისა და გაერთიანებისათვის. 1915 წ. ლენინი მეთაურობს ციმმერვალდის კონფერენციის მემარცხენე ფრთას.

1916 წ. ლენინი მუშაობს ბერნის თათბირში, კიენტალის კონფერენციაში. მაშინდელი მისი ლოზუნგებია:

სასწრაფო ღონისძიების მიღება ომის სალიკვიდაციოდ: საყოველთაო გაფიცვა, საბოტაჟი, შეიარაღებული აჯანყება: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომათ.

ამავე დროს მის მიერ სწრაფად ვრცელდება რევოლიუციური ინტერნაციონალიზმის იდეები შვეიცარიელ მუშებს შორის.

* * *

1917 წ. ათი წლის ემიგრაციის შემდეგ ლენინი ბრუნდება რუსეთში. ჩამოსვლისთანავე ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი ძალაუფლების თავის ხელში აღების შესახებ. უცდიდა მხოლოდ დროს შერჩევას. ივლისის დღეებში კ. პ. ც. კ. წინააღმდეგი იყო გამოსვლის. მაგრამ, როდესაც ხალხის მღელვარებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, ლენინი შეშფოთდა. მაგრამ ამბობდა: ჯერ კიდევ ადრეა. ესერებისა და მენშევიკების მიერ მოტყუებული ფრონტოვიკები ამოსწყვეტავენ პეტროგრადის მუშებსო.

ივლისის აჯანყების შემდეგ ლენინი ზინოვიევთან ერთად იმალებოდა ფინეთში. აქედან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მუშებთან, აქედან წერილებით ის კიდევ ურჩევდა ესერებს და მენშევიკებს გაეწყვიტათ კავშირი ბურჟუაზიასთან მაგრამ მათ არ მიიღეს ლენინის წინადადება და ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ლენინი უკვე აჩქარებს მუშებს: სასწრაფოდ ჩაიგდონ ხელში ძალა-უფლება თორემ მერე გვიანღა იქნება.

თავის უკანასკნელ წერილში ის სწერს ცენტრალურ კომიტეტს რომ შემოერტყან ალექსანდრინკას, გაყარონ მთელი ეს ნაგავი და ძალა უფლება ხელთ იგდონ.

ლენინი სტოვებს ფინეთს და ჩადის პიტერში აჯანყების მოსაწყობად. კერენსკი და ავქსენტიევი სცემენ

ბრძანებებს ლენინის დაჭერისათვის მაგრამ ლენინი „პოდპოლიეში“ ამზადებს აჯანყებას და აჩქარებს გამოსვლას.

ოქტომბრის რევოლიუცია—ეს არის ლენინის საქმე, ლენინის გამოგონება.

* * *

25--26 ოქტომბერი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მეორე ყრილობაზე ლენინი აცხადებს: ზავი დაუყონებლივ და გლეხებს მიწა უსასყიდლოთ. დგება სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმერ ლენინის მეთაურობით.

ბრესტის დღეები. ეს იყო ლენინისთვის დღეები გეთსიმანიის, გოლგოთის ტვირთის. ეს მაშინ როდესაც ლენინის სიტყვის წინააღმდეგია საბჭოების დიდი ნაწილი და ც. კ. უმრავლესობაც. და მაშინ მხოლოდ ლენინმა შესძლო გადაერჩინა პეტროგრადი, რუსეთი, კომუნისტური პარტია, რევოლიუცია.

1918 წ. 30 აგვისტოს ესერების პარტიის წევრი კაპლანის ქალი რევოლვერის ტყვიით თავს ესხმის ლენინს მიტინგზე. მძიმედ დაჭრილი ლენინი კრეტინების მუხანათური ტყვიით 1919—22 წლამდე მაინც განაგრძობს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის მედგარ ხელმძღვანელობას.

* * *

ლენინის ავადმყოფობა მძაფრად დაიწყო 1922 წლ. დამლევს. ავადმყოფობა ნელ-ნელა ვითარდებოდა და ღრღნიდა მის ლომ-ურ ორგანიზმს. თავდაპირველად თვით ლენინი არ აქცევდა ყურადღებას თავის ავადმყოფობას. ექიმებმაც ვერ შესძლეს აღმოეჩინათ რაიმე ორგანიული დაზიანება ნერვიული სისტემისა და შინაგანი ორგანოების. მაგრამ ლენინს მაინც ურჩიეს დასვენება და ისიც რამდენიმე თვით გადასახლდა გორკაში.

მაისში, უკვე თავი იჩინეს ტვინის ორგანიულ დაავადების ნიშნებმა. პირველი შეტევა გამოიხატა საერთო სისუსტესა, მეტყველების დაკარგვასა, მარჯვენა კიდურების მოძრაობის შესუსტებაში. ეს გაგრძელდა მთელი სამი კვირა.

მძლავრმა ორგანიზმმა მაინც თავისი გაიტანა და ივლისში ლენინი საკმაოდ მომჯობინდა და აგვისტოდან უკვე დაუბრუნდა თავის საქმიანობას.

დეკემბრიდან შეტევები განახლდა, რაც გამოიხატა მარჯვენა კიდურების გარდამავალ სიმდაბლეში, ხოლო 16 დეკემბერს დასჩემდა ძლიერი სიმდაბლე მარჯვენა ფეხსა და ხელში, რამაც აიძულა ლოგინში ჩაწოლილიყო.

1923 წ. იანვარსა და თებერვალში ლენინის ჯანმრთელობას ეტყობოდა მერყეობა გაუმჯობესებისა, ხან გაუარესებისა. 9 მარტს ისევ დაიწყო მძიმე შეტევა ავადმყოფობისა. სხეულის მარჯვენა ნახევარი დაუმდაბლავდა და მეტყველება მკაცრად შეეცვალა. მაისში ლენინი ისევ გადაყვანილ იქნა გორკაში, სადაც დარჩა სიკვდილამდე.

ივლისის მეორე ნახევარში ლენინი ისევ გამოკეთდა და აგვისტოში მცირედ მეტყველებაც დაუბრუნდა. სექტემბერსა და ოქტომბერში ის უკვე დადიოდა სასეირნოდ ავტომობილებით და მარხილებით და მხიარულადაც იყო.

მაგრამ 21 იანვარს საღამოთი ლენინმა სრულიად დაჰკარგა ცნობიერება, კუნთების საერთო დაჭიმულება და სუნთქვის სიდამბლის და ჰიპერტემიის გამო საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე კაცობრიობის უდიდესმა ადამიანმა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა სული განუტევა.

# უმთავრესი მომენტები ამხ. ლენინის ცხოვრებიდან.

1870 წ. 10 აპრილს სიმბირსკში დაიბადა ვლადიმერ ილიჩი.

1872 წ. 12 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიჩის მამა ი. ნ. ულიანოვი—სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ორგანიზატორი.

1887 წ. 8 მაისს ჩამოაღრჩვეს ვლადიმერ ილიჩის ძმა, ა. ი. ულიანოვი, რომელიც აწყობდა ალექსანდრე მესამის მოკვლას.

ვლადიმერ ილიჩმა დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია და შემოდგომაზე შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

1888 წ. 5 თებერვალს გამორიცხეს უნივერსიტეტიდან სტუდენტების მღელვარებაში მონაწილეობისათვის და გადაასახლეს სოფ. კუკუშინოში, ყაზანის გუბერნია.

ივლისი. ვლადიმერ ილიჩს უარი უთხრეს უნივერსიტეტში ხელახლა მიღებაზე.

სექტემბერი. ვლადიმერ ილიჩს პოლიციამ აუკრძალა საზღვარ გარეთ გამგზავრება.

1888—89 წ. ვლადიმერ ილიჩი ყაზანში.

1889 ზაფხული. გამგზავრება სამარაში.

1891 წ. ექსტრენათ ჩააბარა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1893. ცხოვრება სამარაში.

მარქსისტების პირველი ჯგუფი სამარაში:

„ვ. ი. ულიანოვი, ა. ი. სკლიარენკო და ი. ხ. ლალაიანცი“.

შემოდგომაზე გამგზავრება პეტერბურგში.

1894 წ. ვ. ი. პირველი ნაშრომი არალეგალური ბროშიურა: „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ დემოკრატებს“.

ვ. ი. შედის სოციალ დემოკრატების წრეში პეტერბურგში „ცენტრალური ჯგუფი მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელოდ“.

ლენინი ხელმძღვანელობს მუშათა ჯგუფს „კრიტიკოსი ნავთსადგურში“.

1895 წ. აპრილი. ლენინი გაემგზავრა საზღვარ გარეთ, სადაც კავშირი დაიჭირა პლეხანოვთან, აქსელროდთან და ზასულიჩთან.

სექტემბერი. ლენინი ბრუნდება საზღვარ-გარეთიდან და აწყობს „მუშათა განთავისუფლებისათვის მებრძოლ კავშირს“.

9. დეკემბერს ატუსაღებენ „კავშირს“. ლენინი ციხეში.

1896 წ. ციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი ციხეში სწერს წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

1897 წ. 29 იანვარი სასამართლოს გამოაქვს განაჩენი ლენინის საქმის გამო, მას სამი წლით ასახლებენ ენისეის გუბერნიაში სოფ. შუშენსკოეში.

1898. გადასახლებულის ცხოვრება.

ლენინს ირჩევენ „რაბოჩაია გაზეტა“-ს, პარტიის ოფიციალურ ორგანოს, რედაქტორად.

1899. წ. გადასახლება.

1900. წ. 21 იანვარი. დაბრუნება გადასახლების ადგილიდან. ლენინს სამი კვირით ატუსაღებენ პეტერბურგში.

16 ივლისი. საზღვარ-გარეთ გამგზავრება. ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან“ შვეიცარიაში.

მიემგზავრება მიუნხენში და იწყებს „ისკრა“-ს გამოცემას.

1901. ლენინი ხელმძღვანელობს „ისკრა“-ს.

1902. ლენინი კითხულობს ლექციებს „სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში“ პარიზში.

1903. წ. ლენინის ინიციატივით სოციალ-დემოკრატებმა უარი უთხრეს ლიბერალებს თვითმპყრობლობის წინააღმდეგ საერთო ჟურნალის გამოცემაზე.

## რ. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა.

1903 წ. ლენინი ყრილობაზე ატარებს რევოლიუციონური მარქსიზმის ხაზს.

განხეთქილება პარტიაში: ბოლშევიკები და მენშევიკები.

ლენინი მეთაურობს ბოლშევიკებს.

ლენინს ირჩევენ ც. კ. პარტიის საბჭოს და ცენტრალური ორგანოს „ისკრა“-ს რედაქციის წევრად.

1. ნოემბერი. ლენინმა პლეხანოვის საქციელს (გადავიდა მენშევიკების მხარეზე) უპასუხა „ისკრა“-ს რედაქციიდან და პარტიის საბჭოდან გამოსვლით.

1904 წ. ლენინი ც. კ. წევრი.

ლენინი გამოდის პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

ლენინი ხელმძღვანელობს აგიტაციას მესამე ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ, ვინაიდან მენშევიკებმა დაარღვიეს პარტიის უმრავლესობის დადგენილებები და ნება.

დეკემბერი. ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკების ორგანოს „ვპერიოდ“.

1905 წ. არჩევნები მესამე პარტიული ყრილობის მოსამზადებლად; გაზ. „ვპერიოდის“ ხელმძღვანელობა.

მაისი. რ. ს. დ. მ. პ. მესამე ყრილობა.

ინტენსიური მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში.

ლენინი მეთაურობს პარტიის ც. კ. და „პროლეტარი“-ს.

აგვისტო-სექტემბერი. ლენინი აგიტაციას ეწევა „ბულიგინის“ სათათბიროს ბოიკოტის, აჯანყების და თვითმპყრობელობის დამხობის სასარგებლოდ.

სექტემბერი-ნოემბერი. ლენინი ბრუნდება რუსეთში ხუთი წლის ემიგრაციის შემდეგ.

„შეიარაღებული აჯანყების“ პროპაგანდა და მომზადება. ლენინი მიემგზავრება მოსკოვში.

ლენინი პეტერბურგში აგიტაციას ეწევა, რომ პეტერბურგის მუშებმა მხარი დაუჭირონ აჯანყებას მოსკოვში.

1906 წ. აპრილი. რ. ს. დ. მ. პ. მეოთხე გაერთიანებული ყრილობა სტოკჰოლმში.

გაცხოველებული მუშაობა გაერთიანებულ ყრილობაზე.

ლენინი მოხსენებებს აკეთებს სხვადასხვა საკითხების შესახებ.

ყრილობის შემდეგ ვ. ი. ბრუნდება რუსეთში და მეთაურობს პარტიის ბოლშევიკურ ფრთას.

ივლისი. ლენინს კავშირი აქვს სვეაბორგის და კრონშტადტის აჯანყების ორგანიზატორებთან და იღებს ზომებს მოძრაობის პეტერბურგში გადასატანად.

ლენინი სცემს და რედაქტორობს ბოლშევიკების არალეგალურ ორგანოს „პროლეტარი“ და სასტიკ ბრძოლას აწარმოებს მენშევიკებთან და ესერებთან.

ნოემბერი—დეკემბერი. სასტიკი ბრძოლა „რაბოჩესიეზდოვცებთან“, „ბლოკისტებთან“, კადეტებთან და მენშევიკების და პლეხანოვის ოპორტიუნისტულ ტაქტიკასთან.

ლენინი იმუშავებს ბოლშევიკების პლატფორმას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

1907 წ. მხარს უჭერს არჩევნებს მეორე სახელმწიფო სათათბიროში და მონაწილეობის მიღებას მასში (ლიბერალების, ნაროდნიკული ჯგუფების და მენშევიკების სამხილებლად).

ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკ დეპუტატებს სათათბიროში.

აპრილ მაისი. რ. ს. დ. მ. პ. მეხუთე ყრილობა ლონდონში. ლენინი ენერგიულ მონაწილეობას იღებს ყრილობის მუშაობაში.

ივლისი. ყრილობის შემდეგ ლენინი ბრუნდება რუსეთში.

ლენინი ფინლიანდიაში (კუოკკალა).

ლენინი საერთო პარტიულ კონფერენციაზე მხარს უჭერს არჩევნებს მესამე სახელმწიფო სათათბიროში.

აგვისტო, ლენინი მეორე ინტერნაციონალის შტუტგარდტის კონგრესზე.

ლენინის და როზა ლიუქსემბურგის თეზისები: „თუ იფეთქა იმპერიალისტურმა ომმა, უნდა დაიწყოს სოციალისტური რევოლიუცია“.

ლენინი მეორეთ მიმგზავრება საზღვარ-გარეთ (მეორე ემიგრაცია 1907—1917 წ.)

1908. ლენინი ჟენევაში. წერილების კრებული „За 12 лет“.

აგვისტო. გამგზავრება ლონდონს.

გალაშქრება ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის და ბაზაროვის „ემპირიოკრიტიციზმის“ წინააღმდეგ.

## გადასვლა პარიზში.

1908. 21 დეკემბერი. ლენინი მონაწილეობას იღებს დეკემბრის კონფერენციაში. ლენინი გააფთრებით ებრძვის „ლიკვიდატორობას“ და „ოტზოვიზმს“.

1909. ლენინი პარიზში.

მაისი. ბოლშევიკების კონფერენცია პარიზში. განხეთქილება „ოტზოვისტებთან“. დაახლოება პლეხანოვთან ლიკვიდატორებთან ბრძოლის ნიადაგზე.

„მარქსიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინის შრომა „ემპირიოკრიტიკების“ წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. კამენევი. ამხ. ლენინი.

დეკემბერი. ლექციები კუნძულ კაპრიზე მოწყობილ შკოლაში.

1910. ლენინი ცხოვრობს პარიზში. მუშაობა ც. კ. პლენუმში.

გამგზავრება მეორე ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესზე. ლენინი მუშაობს კოოპერატიულ კომისიაში.

ნოემბერი. ლენინი სცემს „რაბოჩაია გაზეტა“-ს.

1911. ლენინი წინადადებას იძლევა კონფერენციის მოწვევის და ახალი ცენტრალური კომიტეტის შედგენის შესახებ.

ზაფხული. ლენინი კითხულობს ლექციებს პარტიულ შკოლაში.

1912. ლენინის მუშაობა პარტიის აღსადგენად.

ლენინი მუშაობს პარიზის კონფერენციაზე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

9 მაისი. ლენინი მოხსენებას აკეთებს რ. ს. დ. მ. პ. საზღვარ-გარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციაში.

ივლისი. ლენინი პარიზიდან მიემგზავრება გალიციაში (ახლო რუსეთის საზღვართან, რომ უკეთესად უხელმძღვანელოს რევოლიუციონურ მოძრაობას).

ლენინი თანამშრომლობს გაზეთებში: „სოციალ-დემოკრატ“, „პრავდა“, „ზვეზდა“, „ნევსკაია ზვეზდა“ და ჟურნალში „პროსვეშჩენიე“.

1913. ლენინი მხურვალე მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების ც. კ. მთელ რიგ თათბირებში. (კერძოთ, აგვისტოში).

ვ. ი. ხელმძღვანელობს სათათბიროს „ხუთეულის“ მუშაობას.

ბრძოლა მუშათა კლასის „შეუკვეცავი“ ლოზუნგებისათვის. მუშაობა „პრავდაში“ და „პროსვეშჩენიე“-ში.

ლითონზე მომუშავეები მისალოც დეპეშას უგზავნიან ლენინს, როგორც „მუშათა კლასის ჭეშმარიტ ბელადს“.

1914. ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან პარტიისათვის.

მუშაობა „პრავდა“-ში, „პროსვეშჩენიე“-ში.

ომის გამოცხადება ლენინს ზინოვიევთან ერთად უსწრებს გალიციის მიყრუებულ სოფელში. ავსტრიის მთავრობა ატუსაღებს ლენინს და ორი კვირით ათავსებს ციხეში.

ვ. ი. მიემგზავრება შვეიცარიაში.

ლენინის თეზისები ომის შესახებ: „იმპერიალისტური ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომათ“.

ბრძოლა „სოციალ-შოვინიზმთან“ და „ობორონცებთან“.

1915. ბრძოლა სოციალ-შოვინიზმთან და იმპერიალისტურ ომთან. ვ. ი. მუშაობს „სოციალ-დემოკრატ“-ში. ვ. ი. მუშაობს შვეიცარიელ მუშებს შორის. ლენინი მხურვალე მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების საზღვარ-გარეთის სექციის ბერნის კონფერენციაში.

მუშაობა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ძალების ორგანიზაციისა და გაერთიანებისათვის. (ბოლშევიკების საზღვარ-გარეთის სექციის მეორე კონფერენცია, მოსამზადებელი კონფერენცია 11 ივლისს ბერნში).

5—8 სექტემბერი. ციმმერვალდის კონფერენცია.

ლენინი—მემარცხენე ფრთის მეთაური. შეტაკება ლედებურთან.

1916. ლენინის მუშაობა ბერნის თათბირში—5—8 ივნისს, კიენტალის კონფერენციაში 24—30 აპრილს (მემარცხენე ოპოზიცია ლენინის მეთაურობით). ლოზუნგები: სასწრაფო ზომების მიღება ომის ლიკვიდაციისათვის: საყოველთაო გაფიცვა, საბოტაჟი, შეიარაღებული აჯანყება; იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომათ.

თებერვალი. ლენინის გამოსვლა რაკოვსკისთან ერთად სოციალისტების მიტინგზე ბერნში.

(ომის შემდეგ პროლეტარული რევოლიუციის აუცილებლობა არსებული კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ).

ლენინის მოხსენებები ბერნში და ციურიხში 1916 წ. პირველ ნახევარში.

1. საჭიროა რ. ს.-დ. მ. პ. აგრარული პროგრამის გადასინჯვა „მუნიციპალიზაცია“ უნდა შეიცვალოს „ნაციონალიზაციით“. 2. სოციალ-დემოკრატების ახლობელი ამოცანები რუსეთში.

ლენინის წერილი პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს სესიის განახლების და იქ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების წინადადების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდა შვეიცარიელ მუშებს შორის.

ვ. ი. უშვებს ციურიხში ჟურნალ „ფორბოტე“-ს სამ წიგნს.

1917. ლენინი თითქმის ათი წლის ემიგრაციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში.

პირველი მიმართვა მასებისადმი და ლოზუნგი: გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

4. აპრილი. ლენინის „თეზისები“.

22. მაისი. სიტყვა მუშათა და გლეხთა დეპუტატების პირველ ყრილობაზე.

ივნისი. ლენინის გამოსვლა სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე, („შევანჯღრიოთ კაპიტალისტები“)

„პრავდა“-ს დარბევა.

ბრძანება ლენინის დატუსაღების შესახებ.

ივლისი. ლენინი კვლავ იძულებულია 4 თვე გაატაროს არალეგალურად ვიბორგის მხარეზე და ფინლიანდიაში. ლენინი „იატაკ-ქვეშიდან“ განაგრძობს პარტიის ხელმძღვანელობას და მონაწილეობას იღებს ბოლშევიკურ პრესაში.

ივლისი. რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) მეექვსე ყრილობა. მთავარი ამოცანა არის კერენსკის ჩამოგდება, ომის ლიკვიდაცია და სოციალისტური მშენებლობის დაწყება.

ვ. ი. ლოზუნგი: „საჭიროა ძალაუფლების, რაც შეიძლება დაჩქარებით ხელში აღება, თორემ გვიანი იქნება“.

წერილი პარტიის ც. კ: „Довольно тянуть канитель, нужно окружить воисками Александринку, разогнать всю шваль и взять власть в свои руки“.

ლენინი „თვითნებურათ“,—მას ყოველ წამს დატუსაღება მოელის,—გაემგზავრება პეტროგრადში აჯანყების მოსაწყობად.

## ოქტომბრის რევოლიუცია

25—26 ოქტომბერი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მეორე ყრილობა.

ლენინის სიტყვა ყრილობაზე, მეორე ყრილობა ლენინის წინადადებით ადგენს: ზავი დაუყონებლივ და მიწა გლეხებს უსასყიდლოთ.

სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

1918 წ. ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს წევრებთან ერთად მოსკოვში გადმოდის.

30 აგვისტო. ესერების პარტიის წევრი თავს ესხმის ლენინს.

1919—20—21—22 წ.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის უცვლელი ხელმძღვანელი.

1922—23 წ.

ვლადიმერ ილიჩის მძიმე ავადმყოფობა.

# საიდუმლო პარავი

(ნ. ემელიანოვის მოგონებანი 1917 წლ. ივლისის შემდეგ ამხ. ლენინისა და ზინოვიევის არალეგალურ ცხოვრების შესახებ)

3 ივლისს ღამით ჩემთან მოვიდა ამხ. ზოფი და მითხრა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მანდობს მე ამხ. **ლენინისა** და **ზინოვიევის** დამალვას. ლენინსა და ზინოვიევს მე უნდა შევხვედროდი სტროგონოვის ხიდთან. 4 ს. მე უკვე პეტროგრადში ვიყავი, ბილეთები მზათ მქონდა და დანიშნულ ადგილს ველოდი მათ. რამდენიმე ხნის შემდეგ დახურული ეტლით მოვიდენ ამხ. **ლენინი** და **ზინოვიევი**. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ სადგურში ვიყავით, მოვეწყვეთ ვაგონის ბაქანზე და მალე მივედით სადგურ რაზლივამდე. იქ ვიგრძენით, თუ რა დიდ საფრთხეს გავშორდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხ. ლენინისა და ზინოვიევის ბინამდე მივაღწიეთ. ეს იყო სათივე ფიცრული თავანით, სადაც პირველ ხანებში იმყოფებოდნენ ლენინი და ზინოვიევი.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო ამხ. ლენინისა და ზინოვიევის გარეგნული სახის შეცვლა. დაუყონებლივ შევპარსეთ თმები. ცოტა არ იყოს არა სასიამოვნო მდგომარეობა იყო, გარშემო ცხოვრობდენ მოაგარაკენი, მშრომელთა ხარჯზე სტკბებოდნენ ბუნებით; ცხადია ისინი წინააღმდეგნი იყვენ მუშათა ყოველგვარ მოძრაობის, ისინი დიდის სიამოვნებით იკისრებდენ ჯაშუშობას. თავანი იმგვარათ იყო მოწყობილი, რომ იქიდან ადვილად შეიძლებოდა თვალყურის დევნება, თუ რა ხდებოდა გარშემო, ან ვინ მიდი-მოდიოდა. მაგალითად, მოდის ვინმე ამხანაგი და კითხულობს ამხ. ლენინს, სტუმარი მოგვყავდა ეზოში, ამ დროს კი ამხ. ლენინი და ზინოვიევი მას უყურებდენ და თვალს ადევნებდენ თავანის სხვა და სხვა ჭუჭრუტანიდან. შემდეგ ამხ. **ლენინი** იძლეოდა პასუხს თავის დაკვირვებაზე და ამგვარ რეპეტიციის შემდეგ ამხანაგს ეძლეოდა მისი ნახვის უფლება. იყო ასეთი შემთხვევაც: ერთხელ მოვიდა ამხ. №, ამბობს, აუცილებლად საჭიროა, რომ ლენინი ვნახოვო, მაგრამ, საუბედუროდ, ვერც ამხ. ლენინმა და ვერც ზინოვიევმა ვერ იცნეს ამხანაგი ის კი დაჟინებით მოითხოვს მათ ნახვას, მოვახდინეთ ბჭობა და რომ რამე აღმოჩენილიყო უკიდურეს ზომისათვის უნდა მიგვემართა, მაგრამ საბედნიეროთ, ჩვენი კაცი აღმოჩნდა.

თუმცა თავანს ქონდა თავისი ღირსებები, მაგრამ იქ ყოფნა არც ისე სასიამოვნო იყო. ყოველწუთში მოსალოდნელი იყო, რომ ვინმე შეამჩნევდა, ამიტომ უნდა უფრო უშიშარი ადგილი მოგვეძებნა. თიბვის დრო იყო. რა იქნება, რომ ამხ. ლენინი და ზინოვიევი მთიბავების სახით სათიბში გავიყვანოთ, მით უმეტეს, რომ ტანთსაცმელი და წვერ-ულვაშით ისინი მეტათ დაემსგავსნენ მთიბავებს. ეს აზრი მოიწონეს ამხ. ლენინმა და ზინოვიევმა, რადგანაც თავანზე ყოფნა, როგორც სჩანდა, მათ უკვე მოეწყინათ.

სათიბი მდებარეობს რაზლივს იქით. აქ არის ტბა 4 ვერსის სიგრძე-სიგანის და მოზრდილი ტყე. იქ არ იყვენ მოაგარაკენი. ისინი აქ ძვირათ ჩნდებოდნენ, მუდმივათ აქ ცხოვრობდენ მშრომელები, მუშა მთიბავნი, რომელნიც არ ეძებდენ მუშათა მოძრაობის დამალულ ბელადებს. თავანი შეიცვალა მეორე ბინით, კარავით, რომელიც გაკეთებული იყო ხის ტოტებისგან და ზევიდან თივით იყო დახურული. ამ კარავს შეიძლება ვუწოდოთ „რევოლიუციის შტაბი“, რადგანაც აქ ამხ. ლენინი და ზინოვიევი დამშვიდებულათ შეუდგენ მუშაობას. გვერდზე მოწყობილი იყო სამზარეულო, სარზე ჩამოკიდებულია პატარა ქვაბი, მზადდება ჩაი. მაგრამ ღამით ყოვლად შეუძლებელია იქ გაძლება. მომაბეზრებელი კოღოები პირდაპირ არ იძლევიან მოსვენებას, რაც უნდა ემალოთ მათ, ისინი მაინც მოგაგნებენ და გკბენენ. ხანდახან სულ დაკბენილი ხარ, მაგრამ რას იზამ.

ამხ. ლენინთან და ზინოვიევთან მოდიოდენ ამხანაგები დიდის გაჭირვებით, ჯერ პირველყოფილი რკინის გზით, შემდეგ რაზლივზე ნავით და შემდეგ კი ფეხით.

საქმე ასე იყო მოწყობილი: მოდის რომელიმე ამხანაგი, უმთავრესად ღამით, ძველ ბინაზე, აქედან მას აცილებს კარავამდე ემელიანოვის შვილი კონდრატი. მახსოვს როგორის სიხარულით ეგებებოდენ ერთმანეთს ამხანაგები. ღამე საუბრობდენ, დილით კი სათიბში უნდა წასულიყვენ. საინტერესო ამბავი მოხდა. ამხ. **ლილინის** ქალი უნდა მოსულიყო ამხ. ზინოვიევთან. საჭირო იყო მისთვის შეგვეტყობინებია, თუ სად იმყოფებოდენ ისინი. ლილინის ქალი ცხოვრობდა სადგურ ტარნოვკის ახლო. თუმცა დამალულები და ეს ქალი ერთმანეთზე ახლოს იყვენ, მაგრამ ლილინის ქალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. უნდა შეეტყობინებიათ ისე, რომ არავის არ შეემჩნია, თუ რაში იყო საქმე. ლილინის ქალი სცხოვრობდა მშობლებთან, რომელთაც ყავდათ მოსამსახურე. ვინ იცის, შესაძლებელი იყო, რომ მოსამსახურე მთავრობის დავალებით თვალყურს ადევნებდა ამხ. ლილინის ქალს. გადასწყვიტეს, რომ ნადეჟდა კონტრადის ასული მოვაჭრე ქალად მოერთოთ, იყიდეს ქათამი და გააგზავნეს იგი ამ სახლში თითქოს ქათმის გასაყიდათ. სამწუხაროდ, ლილინის ქალს არ უნდოდა ქათამი და მოსამსახურის პირით შეუთვალა განგებ მოვაჭრეს, რომ ქათამი არ მინდაო. მაგრამ ამ დროს გამოვიდა თვით ლილინისა, რომელსაც მოვაჭრემ ანიშნა, რომ აქ საქმე ქათამში არ არის. მოვაჭრე ქალი წავიდა, მას უკან გაყვა ლილინისა, რომელსაც გადასცეს წერილი. ამხ. ლილინამ როგორც კი წაიკითხა წერილი, სიხარულით მოინდომა გადახვეოდა მომტანს, მაგრამ მან იგი თვალით გააფრთხილა და ლილინაც შეჩერდა. ამგვარათ შეატყობინეს ამხ. ლილინას თუ სად უნდა მისულიყო. შემდეგ იგი აღნიშნული გზით მიიყვანეს ამხ. ლენინისა და ზინოვიევის ბინაზე.

ამ დევნის დროს ისინი თავს მაინც და მაინც ცუდათ არ გრძნობდენ, აქ ისინი ისვენებდენ. ამხ. **ლენინი** და ზინოვიევი ხშირად დადიოდენ რაზლივზე საბანაოთ. მშვენიერი სანადირო ტყე იყო და ამხ. ზინოვიევმა მონადირის სახით გადასწყვიტა წასულიყო თოფით სანადიროდ. ამ ნადირობას კინაღამ უბედურება მოჰყვა. ამხ. ზინოვიევი შეეფეთა ტყის მცველს, აქსენოვს, რომელმაც, როგორც წესიერების დამცველმა, უპირველეს ყოვლისა მას თოფი ჩამოართვა, შემდეგ ოქმის შესადგენად მოინდომა მისი გვარის გამორკვევა, რაც, ცხადია, ვერ გაიგო. საქმე ცუდათ იყო: ტყის მცველს შეეძლო ეცნო ამხ. **ზინოვიევი**, რასაც შეატყობინებდა, სადაც საჭირო იყო. ამას გარდა ამხ. **ლენინისა** და ზინოვიევის თავი დაფასებული იყო 200,000 მან. იმ დროს კი ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო. მაგრამ ისინი შეცდენ: მუშათა კლასის ბელადები მეტად იაფად შეაფასეს. ეხლა კი იციან მათი ფასი.

მე მომიხდა ამ საქმის მოგვარება. ჯერ წავედი აქსენოვთან ამის გასაგებად, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მონადირემ. მივედი და ვკითხე: „მიხეილის ძევ, ეს შენ წაართვი თოფი ჩემს მუშას მეთქი. როგორ გეკადრება, ნუ თუ ასე უნდა მოეპყრა შენს ამხანაგს? ერთად ვიყავით 4 წელიწადი ჯარისკაცებად და ეხლა ჩემი თოფი მიგაქვს“?

„რა ვიცოდი, თუ შენი თოფი იყო, ის ვიღაცაა ერთი სიტყვაც არ ესმის რუსულად, როგორც სჩანს, ჩუხონელი უნდა იყოს. მე ვკითხე: ვინ ხარ, რა კაცი ხარ მეთქი. ის კი ხმას არ იღებს“. როდესაც დავრწმუნდი, რომ სახიფათო არაფერი იყო და რომ ტყის მცველს აქსენოვს ზინოვიევი ჩემთან მომუშავე ფინელი ეგონა—მაშინ დავმშვიდდით.

ამხ. ლენინი და ზინოვიევი ყოველდღე კითხულობდენ ყველა გაზეთებს, რომლებიც მაშინ გამოდიოდა. გაზეთებიც ისევე ფარულად მოგვქონდა. მახსოვს გაზეთებში ხშირად იყო ცნობები, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორც გაიპარენ საზღვარგარეთ ამხ. ლენინი და ზინოვიევი. აქ ლაპარაკი იყო წყალქვეშა ნავებისა და ჰაეროპლანების შესახებ. მართალი მხოლოდ ის იყო რომ ისინი წყალით იყვენ გადაყვანილნი, მხოლოდ არა წყალქვეშა, არამედ უბრალო ნიჩბებიანი ნავით. ამხ. ლენინი, როდესაც ამგვარ ცნობებს კითხულობდა, მხიარულად იცინოდა და ბურჟუაზიულ გაზეთების გამომცემელთ „მასხრებს“ უწოდებდა.

ამგვარად გამოხატავდა ბურჟუაზია თავის გულისწყრომას და სიბრაზეს. ამხ. ლენინი სწერდა წერილზე წერილს თავის საყვარელ ადგილზე ტირიფის დიდ ბუჩქს უკან. ამხ. ლენინი და ზინოვიევი აგრეთვე ფიზიკური მუშაობით ერთობოდენ. მახსოვს, როდესაც მათ, როგორც გამოცდილ მუშებს, გადაჰქონდათ თივა ადგილიდან-ადგილზე, როდესაც ამხ. ლენინი ჩანგლით აწვდიდა თივის და ბოლოს დასდგეს თივის დიდი ზვინი. საღამოს ჟამს ბავშვებთან ერთად დადიოდენ თევზის საჭერად.

ასე ვცხოვრობდით. დრო გადიოდა. ბუნებამ თანდათან ფერი იცვალა, მოუხშირა წვიმებს.

მახსოვს როგორ უეცრად მოგვისწრო პირველმა დიდმა წვიმამ. დილას მშვენიერი ამინდი იყო, მხოლოდ პატარა ნიავი ათრთოლებდა ხეების ფოთლებს, მზე მაღალ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე იყო. მე კმაყოფილი ვიყავი ამ დღით, ვფიქრობდი თივას გავაშრობ და შემდეგ დავდგამთ მეთქი. სამწუხაროდ, ნასადილევს დაუბერა პატარა ქარმა, რომელიც შემდეგშიც თანდათან გაძლიერდა. ზეცა უცებ ღრუბლით დაიფარა. შევატყე, რომ დიდი წვიმა მოვიდოდა და დაუჩქარე თივის მოგროვებას. ამხ. ლენინი და ზინოვიევი როგორც კი შეხედეს, რომ ამდენი ხნის ნამუშევარი გაფუჭდებოდა, დამეხმარენ თივის მოგროვებაში. მართლაც მოვასწრეთ თივის მოგროვება. როგორც კი გავათავეთ მუშაობა, წამოვიდა ნელ-ნელა წვიმა, რომელმაც შემდეგ თანდათან იმატა. დაიწყო ძლიერი წვიმა, ჩვენ შევედით კარავში, კარავი დასველდა და შიგ მყოფნიც დაასველა. ამხ. ლენინმა სთქვა: „საჭიროა ტყეში წავიდეთ, ტოტები მოვიტანოთ და კარავი თივით კარგად დავხუროთ, თორემ ამაღამ სიცივით კანკალს დაგვაწყებინებსო“. ჩვენ მოგვეწონა ამხ. ლენინის აზრი, დავავლეთ ნაჯახს ხელი და მუშაობას შეუდექით, ვინ ტოტებს სჭრიდა, ვინ მოათრევდა მათ და სხვ. ტოტები მოვიტანეთ, მივაფარეთ კარავს და ზედ თივა დავაყარეთ. ამგვარათ კარავი შევაკეთეთ. ეს საჭიროც იყო, რადგანაც ამ ხანებში წვიმები მეტად გახშირდა.

თანდათან აცივდა, უკვე აღარ შეიძლებოდა კარავში გაძლება. საჭირო იყო მოგვეძებნა ისეთი ადგილი, რომელიც უფრო შეეფერებოდა შემოდგომის პირს და არ იქნებოდა სახიფათო. ამხ. შოტმანის წინადადებით გადაწყდა ამხ. ლენინი გამგზავრებულიყო ფინეთში, ამხ. ზინოვიევი კი დარჩებოდა პეტროგრადში. ამხ ლენინის მოწყობა ფინეთში მიენდო ამხ. შოტმანს, მე კი საჭირო საბუთები უნდა მეშოვა. ვისარგებლე იმით, რომ სესტროვეცკის იარაღის ქარხნის მუშებს, რომელნიც „რაივოლში“ სცხოვრობდენ, აძლევენ საზღვარზე გასვლის ნებართვას. მე ვიშოვნე ნებართვა ქარხნის უფროს დიმიტრიევსკის ხელმოწერით. საჭირო იყო მხოლოდ რომ ამხ. ლენინსა და ზინოვიევს გადაეღოთ სურათი და ნებართვაზე დაეკრათ. ლენინი და ზინოვიევი გაიპარენ. გაუკეთეთ ნიღაბები, ჩამოვიდა ამხ. ლეშჩენკო, რომელმაც გადაიღო ამხ. ლენინი და ზინოვიევი. საბუთები მზათ იყო. ეხლა უნდა გამოგვერკვია, თუ როგორ გადავიდოდენ ისინი ახალ ბინაზე, გადაწყდა წაგვეყვანა ისინი ტყეზე ფეხით დიბუპისაკენ, იქიდან კი პეტროგრადში, მართლაც ასე მოვაწყეთ.

ერთი თვის შემდეგ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ულიანოვისა უნდა წასულიყო ფინეთში ამხ. ლენინთან. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც სწორედ ამგვარადვე იქნა გადაყვანილი საზღვარზე. მას აგაფია ატამანოვის ქალის სახელზე ქონდა მოწმობა გაკეთებული, თითქოს ს. რაივოლის მცხოვრები იყო.



ლენინი და სტალინი (ჯუღაშვილი).

# ლენინ

სდგას პოეზია საპატიო, ერთგულ დარაჯათ
მეექვსე ღამე! სდგას თბილისი ვით სასაფლაო.
უნდა სიჩუმე გამოცხადეს ერთი საათით
მთელ ქვეყანაზე--მაშინ როცა კლარა ცეტკინი
მოსკოვის წითელ მოედანზე, სტალინთან ერთად
უზრდელ მიწაში ჩაასვენებს ლენინის ცხედარს.
რჩეული ჩემგან ბრძოლის ყველა ბარიკადებზე
იყო ლიბკნეხტი! ნაღმით სავსე დინამიტებათ
მესმოდა მისი ხმა, ყვირილი მისი ზრიალი,
როდესაც ერთი უცხადებდა ომს გერმანიას.
მაგრამ ლიბკნეხტის არჩევანი იყო ლენინი,
ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების.
ვიცი, ჩინეთში მებადური ჩამოხეული.
რომლის ცოლშვილი ნაგავივით ქუჩაში ყრია,
ახლა აკერებს თავის ბადეს და სტირის ლენინს!
ვიცი ყოველთვის ცეცხლდანთებულ ირლანდიაში
მეამბოხენი სადმე ტყეში სტირიან ლენინს!
ისპანიაში, მჯერა, ამ წუთს აღარ მღერიან,
და აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები.
ამხანაგებო! ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად პოეტებო მარში გლოვისა
მინდა ნიკიშის გაქანება რომ შევადგინო
ხორო ათასი და მილიონ ატირებულთა.
ამხანაგებო: ბესო, ლევან, არჩილ, ზალიკო!
გახსოვთ თბილისში ღამეები, როდესაც ჩვენთან
ჩამოიტანეთ აკივლება მეცხრამეტე წლის,
როცა მოედვა დიდ პეტერბურგს ტიფი, და ცინგა,
როცა ბავშები სთხოვდენ ლენინს მხოლოდ ნატეხ პურს.
როცა ლენინი დასტიროდა დამშეულ, ბავშებს
და თავს უყრიდა როგორც გამხდარ, ყვითელ წიწილებს!
ლენინის კუბოს მინდა ახლა შემოესიონ
ჩემი სიტყვები ვით მტირალა, ჩუმი ბავშები.
ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი.
ვიმღეროთ ერთად პოეტებო მარში გლოვისა.

**პაოლო იაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საპატიო ყარაულები: ფ. მახარაძე და მ. ცხაკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმირ ილიას-ძე ლენინი

ვ. ი. ლენინი, მომხრე იმ თეორიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ პიროვნების როლი კულტურის განვითარების პროცესში უმნიშვნელოა, ჩემის აზრით ენერგიის წყაროა, რომლის გავლენის გარეშეც რუსეთის რევოლიუცია ვერ მიიღებდა იმ ფორმას, რომელიც მიიღო.

ერთხელ იგი, პირობითად მე შევადარე პეტრე დიდს. ამ შედარებაზე იცინოდნენ, რადგან გაზვიადებულად მიაჩნდათ. მაგრამ ეს შედარება სწორედ, რომ პირობითი იყო: პირადად ჩემთვის ლენინის, როგორც რუსეთის რეფორმატორის როლი უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე როგორც მსოფლიო რევოლიუციონერისა.

იგი მარტო ის კაცი კი არ არის, რომელსაც ისტორიამ დააკისრა საშინელი ამოცანა, დაფშხვნას საფუძვლებამდე ჭრელი, ტლანქი, ზანტი ადამიანების თავშესაფარი, რომელსაც რუსეთი ეწოდება,—მისი ნება დაუცხრომელი ტირანია, რომლის დარტყმაც მძლავრად აზანზარებს დასავლეთის მონუმენტალურად აგებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და აღმოსავლეთის მონურ და საზიზღარ დესპოტიის დახავსებულ ზოდებს.

განვაგრძობ ფიქრს,—როგორც ვფიქრობდი ორი წლის წინად,—რომ ლენინისთვის რუსეთი—მხოლოდ ცდის მასალაა, მთელი ქვეყნის, პლანეტარულ საზომით დაწყებულის. წინათ ეს აზრი, დაბნელებული რუსის ხალხისადმი სიბრალულის გრძნობით მაშფოთებდა, მაგრამ უკვირდებოდი რა, თუ რუსეთის რევოლიუციის ამბავის დენა გან-გან მავალი და სიღრმით წასული, უფრო და უფრო აღაგზნებს და ააშკარავებს იმ ძალებს, რომელთაც შეუძლიანთ დაანგრიონ კაპიტალისტურ წყობილების საფუძვლები, ეხლა მგონია, რომ თუ რუსეთი მაინც განწირულია, იყვეს ცდის ობიექტად, უსამართლობაა პასუხისმგებლობა დავაკისროთ ამ ადამიანს, რომელიც სცდილობს რუსეთის მშრომელი მასსის ფარული ენერგია აქციოს კინეტიურად, მომქმედად.

ყველა იღებს იმას, რაც დაიმსახურა,—ეს სიმართლეა. ხალხი, მონარქიის შეხუთულ ჰაერში დამპალი, უმოქმედო და უნებო, საკუთარ თავის რწმენას მოკლებული, ნაკლებად „ბურჟუაზიული“, რომ ძლიერი იყვეს წინააღმდეგობისთვის, და ნაკლებად ძლიერი, რომ მოჰკლას თავისში მათხოვრულად, მაგრამ მტკიცედ შეთვისებული წადილი ბურჟუაზიულ კეთილცხოვრებისა. ეს ხალხი, თავის უნიჭო ისტორიის ლოღიკით, როგორც სჩანს მოვალეა განიცადოს ყველა დრამები და ტრაღედიები, პასიურ არსებისთვის სავალდებულო, რომელიც სცხოვრობს მხეცურად განვითარებულ კლასთა ბრძოლის ეპოქაში, რის ყოვლად საძაგელი გამოხატულება იყო ისეთი სისხლიანი საზიზღრობა, როგორც 14—18 წლების ომი.

რასაკვირველია, მე არ ვფიქრობ სიტყვის შედგენას ვ. ლენინის დასაცავად თუ გასამართლებლად,—ეს მე არ დამჭირდება ისევე, როგორც იმას.

მაგრამ მე ცოტათი ვიცნობ იმას და... და უნდა ვთქვა, რომ ჩემი პირადი სიმპატიები მისდამი არავითარ როლს არ თამაშობენ ამ მომენტში, როდესაც ვწერ მის შესახებ. მე ვიხილავ მას როგორც არსებას, რომლის დაკვირვება შემიძლიან ისევე, როგორც სხვა ადამიანების თუ მოვლენების, რომელნიც არ შეიძლება არ მაინტერესებდენ ჩემი სამშობლოს ცხოვრების აღმწერელს. აი, ეს ადამიანი მუშათა კრებაზე სიტყვას ამბობს,—იგი ლაპარაკობს საოცრად მარტივი ენით, რკინის ენით, ცულის ლოღიკით, მაგრამ—მის მკაცრ სიტყვებში არ გამიგონია არც უხეში დემაგოგია, არც გაცვეთილი ფრანტობა ლამაზი ფრაზით.

იგი ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობს: ადამიანთა სოციალური უსამართლობის ძირიან მოსპობის აუცილებლობას და საამისო გზების შესახებ.

ეს ძველი სიმართლე მისი პირიდან მკვახედ ისმის, შეურიგებლად: ყოველთვის ჰგრძნობ, რომ მტკიცედ სწამს და ჰგრძნობ, თუ როგორ დამშვიდებულია მისი რწმენა, რწმენა ფანატიკოსის, მაგრამ მსწავლულ ფანატიკოსის და არა მეტაფიზიკოსის, თუ მისტიკოსის. მე მგონია, რომ მისთვის თითქმის უინტერესოა პიროვნულ-ადამიანური, ჰფიქრობს მხოლოდ პარტიებზე, მასებზე, სახელმწიფოებზე, და აქ მას აქვს ნიჭი წინასწარ-მხედველობისა, მოაზროვნე—ექსპერიმენტატორის გენიალური ინტიუცია. მას აქვს აზრის ის ბედნიერი სინათლე, რომელიც მხოლოდ განუწყვეტელი და მძაფრი მუშაობის შედეგია.

ერთმა ფრანგმა მკითხა:

— არა გგონიათ, რომ ლენინი გილიოტინა არის, რომელიც აზროვნობს?

მისი აზრის მუშაობას მე შევადარებდი ჩაქუჩის დარტყმას, რომელსაც აქვს მხედველობა და სპობს და ამსხვრევს იმას, რაც დიდი ხანია მოსასპობია... ზოგჯერ, ლიტერატორისთვის სავალდებულო წარმოდგენის კადნიერება აღმიძრავს კითხვას:

— როგორ ჰხედავს ლენინი ახალ ქვეყანას!

და ჩემს თვალ წინ გადაიშლება დედამიწის დიადი სურათი, თავისუფალ კაცობრიობის შრომით ლამაზად შემოთლილი გიგანტიური ზურმუხტი. ყველა ადამიანი გონიერია, და ყოველი ადამიანის თვისებაა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაფრის გამო, რაც კი მის გარშემო ჰხდება... ტეხნიკურად გაკეთილშობილებული, სოციალურად მოსაზრებული შრომა ქცეულია ადამიანის სიამოვნებად. მართლა განთავისუფლებული ადამიანის გონება,—ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი დასაბამი, და ნამდვილად გონება უშიშარი შეიქნა. გონების უშიშრობა და მახვილი განჭვრეტა პოლიტიკის სფეროში—ლენინის ბუნების ძირითადი თვისებებია. ქვეყანას არასოდეს არ სმენია ის ენა, რომლითაც ლაპარაკობს მის მიერ შთაგონებული დიპლომატია. დეე ეს ენა იყვეს უხეში ფრაკსმოკინგებში გამოწყობილ დიპლომატების ნაზი სმენისათვის, მაგრამ ეს არის მომაკვდინებლად მართალი ენა. სიმართლე კი დარჩება უხეშად იმ დრომდე, ვიდრე ჩვენ ადამიანები არ გავალამაზებთ მას, როგორც ჩვენი მუსიკაა, რომელიც არის ერთი კარგ სიმართლეთაგანი, რომელიც ჩვენ შევქმენით.

არა მგონია, რომ ლენინს მიეაწერე მისთვის უცხო ოცნებები, არა მგონია რომანტიულად ვსახავდე ამ ადამიანს,—მე იგი ვერ წარმომიდგენია ამ მშვენიერ ოცნების გარეშე, ყველა ხალხის ბედნიერების, წითელ და გახარებულ სიცოცხლის შესახებ. რამდენადაც დიდია ადამიანი,—იმდენად კადნიერია მისი ოცნება.

ლენინი უფრო კაცია, ვიდრე რომელიმე ჩემი თანამედროვეთაგანი, და თუმც მისი აზრი უმთავრესად შე-



პყრობილია იმ პოლიტიკური მოსაზრებებით, რომელთაც რომანტიკოსმა უნდა უწოდოს „ვიწრო პრაქტიკული“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დასვენების იშვიათ ნაწილში, ეს მებრძოლი აზრი მიჰქრის მშვენიერ მომავლისაკენ გაცილებით შორს, და ჰხედავს უფრო მეტს, ვიდრე მე შემიძლიან წარმოვიდგინო.

ლენინის სიცოცხლის ძირითადი მიზანია ზოგად კაცობრიული სიკეთე, და მან აუცილებლად უნდა წინასწარ დაინახოს საუკუნეების მანძილზე იმ დიდი პროცესის ბოლო, რომლის დასაწყისსაც ასკეტურად და ვაჟკაცურად ემსახურება მთელი მისი ნება. იგი იდეალისტია, თუ ამ ცნებით წარმოვიდგენთ მისი ბუნების ყველა ძალთა შეერთებას ერთ იდეაში—საყოველთაო სიკეთის.

მგონია საჭიროა მოვიხსენიო, რომ ლენინისთვის უცხო არ არის მეგობრობით გატაცება და საერთოდ არაფერი ადამიანური არ ეუცხოვება... ჰხდება ხოლმე, რომ ლენინი აზვიადებს ადამიანთა კარგ თვისებებს მათდა სასარგებლოდ, ხოლო საქმისათვის კი საზიანოდ, მაგრამ თითქმის ყოველთვის, მის მიერ უარყოფითი შეფასება,—თითქოს უსაფუძვლო, აუცილებლად მტკიცდება იმ ხალხის მიერ, რომელნიც უარყოფითად შეაფასა უფრო ადრე, ვიდრე ნახავდა მათი შრომის ნაყოფს. ეს იმის დასამტკიცებლად გამოდგება, რომ ლენინი უფრო კარგად გრძნობს ადამიანის ცუდ მხარეებს, ვიდრე კარგს, და აგრეთვე იმისაც, რომ ცუდი ხალხი საზოგადოდ გაცილებით მეტია, ვიდრე სასარგებლო.

ზოგჯერ ამ მოურიდებელ პოლიტიკოსში იელვებს ადამიანისადმი ქალური სინაზის ნაპერწკალი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ტერორი ულირს მას გადაუტანელ, თუმც მეტად მოხერხებულად დაფარულ ტანჯვად. დაუჯერებელი და დაუშვებელია, რომ ადამიანები, ისტორიის მიერ შეურიგებელ წინააღმდეგობისათვის განწირულნი,—მოჰკლან ერთნი მეორეთა თავისუფლებისათვის,—არ გრძნობდენ წვალებას სულის დამქანცველს. მე ვიცი რამდენიმე წყვილი თვალი, რომლებშიც სამუდამოდ გაიყინა ეს ცხოველი ტანჯვა. ყოველგვარი მკვლელობა ორგანიულად საზიზღარია ჩემთვის, მაგრამ ეს ხალხი—წამებულები არიან, და სინიდისი არასდროს არ მომცემს მათი განკითხვის ნებას.

ვატყობ, რომ ლენინის შესახებ ლაპარაკის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებლიედ გინდა სთქვა ყველაფერზე, და თითქოს სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ლაპარაკია ადამიანის შესახებ, რომელიც ცენტრში დგას ყველაფერზე მაღლა. რასაკვირველია, პირადად მის შესახებ შეიძლება ითქვას გაცილებით მეტი, ვიდრე აქ არის ნათქვამი. მაგრამ მე მიშლის ამ ადამიანის დარცხვენილობა, რომელსაც სულ არა აქვს პატივმოყვარეობა: მე ვიცი, რომ ის ცოტაც კი, რაც ითქვა აქ, მას ეჩვენება ზედმეტად, გაზვიადებულად და სასაცილოდ. რა ვუყოთ, დეე იცინოს, ის კარგად შვრება, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ბევრი წაიკითხავს ამ სტრიქონებს თავისდა სასარგებლოდ. ამ სტრიქონებში ვამბობდი იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც ჰქონდა უშიშრობა დაეწყო ზოგად ევროპიული სოციალურ რევოლიუციის პროცესი იმ ქვეყანაში, სადაც 85% გლეხობას უნდათ იყვნენ გამძღარ ბურჟუებად—არც მეტი და არც ნაკლები. ამ უშიშრობას სიგიჟედ სთვლის. მე სარევოლიუციოდ აღგზნების ქება დავიწყე მამაცთა სიგიჟის სიდიდით.

იყო მომენტი, როდესაც რუსის ხალხისადმი ბუნებრივი სიბრალული მაიძულებდა ჩამეთვალა სიგიჟე თითქმის ბოროტმოქმედებად, მაგრამ ეხლა, როდესაც ვხედავ, რომ ამ ხალხს გაცილებით უკეთესათ შეუძლიან მოთმინებით ტანჯვა, ვიდრე შეგნებულად და პატიოსნურად მუშაობა,—მე კვლავ ვუმღერი დიდებას მამაცთა ღვთიურ სიგიჟეს.

მათ შორის კი ვლადიმირ ლენინი პირველია და ყველაზე გაგიჟებული.

**მაქსიმ გორკი.**

# ლენინის კვირა თბილისში

სამშაბათს, 12 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე გაიქროლა ავტომობილმა, რომელმაც პირველად ჩაატარა თბილისის ქუჩებზე ის გამოუთქმელი სევდა და უბედურება, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ქვეყნებს, კაცობრიობას, ბუნებას, ლენინის სიკვდილით.

ლევან ღოღობერიძე და გიორგი ყურულაშვილი, ორი სიცოცხლით სავსე რევოლიუციონერი, ახლა ნაცრად გადაქცეულნი მიდიან სადგურისკენ, ავტომობილიდან ისმის ამხ. ღოღობერიძის ცრემლიანი ხმა:—„მართალია“—რუსთაველის პროსპექტი უცბად სცვლის ჩვეულებრივ დღიურ სახეს „მართალია“—დატრიალდა ეს მართალი, მაგრამ საშინელი სიტყვა. ქუჩაში ხალხმა ძალაუნებურად იბრუნა პირი „ცეკას“ შენობისაკენ. თითქოს ახლავე, ამ წუთშივე უნდოდა გადაეცა თავისი სამძიმარი ამ შენობისათვის, სადაც ბუდობს ლენინის აზრი, სადაც მუშაობენ ლენინის ჯვაროსნები, მისი აზრის მემკვიდრეები.

ხალხში ჩამოიარა მეორე ხმამ—„ტროცკი თბილისშია“. ეს ხმაც მართალია. ავადმყოფი სარდალი წითელი ლაშქრისა, ვაგონიდან ვერ გამოდის. სიცხე უფრო აელვარებს მის გენიით და სევდით ანთებულ თვალებს. ტროცკი თითქოს უეცრად მოხუცდა, დაბნეულია, კანკალობს, ტირის, სიტყვებს დაფანტულად და თითქოს უხმოდ ლაპარაკობს.

საქართველოს მთავრობის დელეგატები—მისჩერებიან მას, როგორც პირველ ჭირისუფალს ლენინის, დაშორებულ კუბოსთან. ვაგონში სიჩუმეა, სიჩუმეა მთელ სადგურზეც, თითქოს მანქანებიც შეჩერდენ, რომ დაუფიქრდენ უბედურებას, რომ იგრძნონ სიკვდილი მისი, ვინც იყო აღტაცებული პოეტი მანქანების და ქალაქებისა. დელეგატი სტოვებს უნუგეშოდ დარჩენილ სარდალს. ტროცკი იწყებს თავის უკვდავ წერილს ლენინზე, ამ წერილის გულდამწველი სიტყვები ისმის როგორც სამგლოვიარო სიმფონია.

ღამით მთელმა ქალაქმა იცის პლანეტარული მწუხარება, ქუჩები ჩაბნელებულია, დაკეტილია თეატრები, ყველა გასართობები, ქუჩებში დადიან ახალგაზდები. ავრცელებენ მთავრობის ცნობას ლენინის სიკვდილის შესახებ.

ჰკითხეთ ბავშვს, დიდს, ქალს, ვაჟს, მოხუცებულ მეეზოვეს, მეეტლეს, ქუჩის ქალს, პოეტს, ჯარისკაცს, ვინ იყო ლენინი და რას ფიქრობს ხალხი მის სიკვდილზე. უბრალოდ, ჩაუფიქრებლად ყველას პასუხია: მოკვდა პირველი ადამიანი თანამედროვე მსოფლიოსი.

ოთხშაბათს ხალხი სახლებში აღარ ისდის. მოედნებზე იმართება საჩქარო მიტინგები, საერთოდ ქუჩები მთლიანი მიტინგია. ქალაქს მოეფინენ წითელი დროშები თალხში. საქართველოს მთავრობა მიმართავს ხალხს სამგლოვიარო მოწოდებით.

სდგება ცენტრალური კომისია ამხ. ღოღობერიძის, კურულაშვილის, რუბენის შემადგენლობით.

სასახლის წინ გამოჩნდა ლენინის დიდი სურათის წინ პირველი საპატიო ყარაული.

სდგას ორი მხედარი როგორც გაქვავებული.

მხედრებს ს ვლიან მუშები.

ისინი სდგანან მწუხარებით, თითქოს ერთი საათით შესწყვიტეს ტირილი თავის მასწავლებელზე. სასახლეს გადმოეფინა შავი ბაირაღი. სასახლეს მიბაძეს სხვა სახლებმა. თბილისში ასზე მეტი საპატიო პოსტია.

ღამის თორმეტ საათზე საპატიოდ დაჰაჯათ ლენინის სურათის წინ სდგება მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

სიცივეა ქალაქში, ყველაზე უფრო დიდი სიცივე სულშია. ოთხშაბათს იუნკერსით გაფრინდენ ბაქოსკენ საქართველოს დელეგატები რომ დაეწიონ მოსკოვისკენ მიმავალ საჩქარო მატარებელს. დელეგატებ შორის ლენინის მეგობრები: ს. თოდრია. ვ. ბოლქვაძე. ლ. დუმბაძე.

ალბათ ჰაერში ტირილი ლენინზე უფრო განმარტოებული იქნება. ხუთშაბათს ქალაქის სამგლოვიაროთ მორთვა ევალება კოტე მარჯანიშვილს.

მასთან არიან მხატვრები, რეჟისორები, პოეტები.

დაიწყო მარჯანიშვილმა ქუჩაში რეჟისორობა. ის თაურობს საპიორების რაზმს, ცეცხლის მქრობლებს, მოქალაქეებს, რომელთაც უხარიათ ერთი წუთი მსახიობობა.

თავისუფლების მოედანზე სისწრაფით აეგენ მთელი შენობები. მოედნიდან, ოპერის თეატრამდე ქუჩა გადაქცეულა ერთ დათალხულ შენობათ. ღამით კომისია შემოივლის მთელ ქალაქს.

რეჟისორები ახმეტელი და ანდრონიკაშვილი, როგორც მართლა თალხის დროშები ისე მოსჩანან მაღალ ტრამვაის ბოძზე და მართავენ ზედ უზარმაზარ, შავ ბაირაღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა მთელ ღამეს გრძელდება, ქალაქის ყველა უბნებში. ქარხნებს სამგლოვიაროთ აწყობენ თვითონ მუშები.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ლენინი მოსკოვში კი არა, თბილისში უნდა დაასაფლაონ.

პარასკევს ყველაფერი მზად არის. მოვიდა ბრძანება, რომ გასვენება ლენინის გადადებულია კვირისათვის. ერთი ზედმეტი დღე სამზადისისთვის კიდევ აჩენს ახალ პროექტებს, რომ სამგლოვიარო დემონსტრაციის უფრო გრანდიოზული სახე მიეცეს. 25-ს შვადღის სამ საათზე სასახლის მთავარ კარებთან გამოჩდებიან ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია. მათ სამხედრო წესით მიესალმება ქალაქის კომენდანტი ლ. აბაშიძე. სამივე მიემართება ლენინის სურათისკენ.

მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე იკავებენ ადგილს საპატიო დარაჯებისას.

მთელი ქუჩა შეჩერდება. ხალხი სამძიმარის გრძნობით მისჩერებია ორ თავდადებულ რევოლიუციონერს, ლენინის მეგობრებს, რომელნიც სდგანან სურათის წინ, როგორც ორი სინდისი, ორი მოციქული მწუხარებისა. უამრავად დაგროვილი ხალხი, მათთან ერთად ჩუმად, უსიტყვოდ ასრულებენ საპატიო ჯარის მოვალეობას, ლენინის ხსოვნის წინაშე.

სასახლეში გრძელდება მიღება სხვა და სხვა ორგანიზაციების დელეგატებისა.

ქართული უნივერსიტეტი, ხელოვანთა მთავარი კომიტეტი, პირველი ივანე ჯავახიშვილი მეთაურობით, მეორე კოტე მაყაშვილის ხელმძღვანელობით მიმართავენ მთავრობას გულწრფელი თანაგრძნობით.

დელეგატების სიტყვებს ისმენენ მ. ცხაკაია, ლ. ღოღობერიძე, დ. კანდელაკი, არჩილ მიქაძე, პ. საბაშვილი. საპასუხო სიტყვებში მ. ცხაკაია და ლ. ღოღობერიძე მოუწოდებენ მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენელთ, ლენინის საკაცობრიო მიზნების სამსახურისთვის. შაბათს მთელი ქალაქი იქცევა თითქოს სამგლოვიარო პროცესიათ. 12 საათიდან შესწყდება ყოველი მოძრაობა: არც ტრამვაი, არც ეტლები, ორი თუ სამი ავტომობილი ყველაფერი დაკეტილია, ყველგან იმართება სტიქიური მიტინგები.

დარჩა მხოლოდ ერთი დღე. ხვალ მოსკოვში, წითელ მოედანზე, ასაფლავებენ ვლადიმირ ლენინს, მეოცე საუკუნის წითელ დროშას, პიროვნებას, რომელსაც სახელად დაერქმევა რევოლიუცია—ლენინს რომელმაც დაიწყო დედა მიწის გადაკეთება.

ხვალ თბილისი დაიტირებს ლენინს როგორც მოსკოვი.

არიელი.

# ლენინი ლენინზე.

ყველა ძვირფას თვისების გარდა, რომლითაც ვლადიმირ ილიასძე ბუნებით დაჯილდოვებული იყო, იგი ამავე დროს იყო იშვიათი ამხანაგი და დისციპლინით აღჭურვილი წევრი პარტიისა. წესიერად შეავსებდა მასთან მიტანილს აუარებელ ანკეტებს. იგი ითვალისწინებდა და იცოდა, რომ აღრიცხვა პარტიაში იყო ბარომეტრი, რის მეოხებით პარტიას შესაფერი დასკვნა გამოჰყავს და აღნიშნავს ტაქტიკას. აქცევდა—რა აღრიცხვას სერიოზულს და დიდს ყურადღებას, იგი ამბობდა: მომავალ სოციალისტურ წესწყობილებას ჩვენ შევქმნით აღრიცხვის სწორი დაყენებით, იმიტომ რომ სოციალიზმი—აღრიცხვაა.

ყველა დაწერილი ილიჩისაგან ანკეტები საოცარი არიან თავდაბალი პასუხებით და იქ ჩვენ ვერ ვნახავთ არა თუ ზედმეტ ფრაზებს, არამედ ის ხშირად კიდევაც ცდილობს დაჩრდილოს თავისი მოღვაწეობა. როგორც ჩვენ ვიცით ვლადიმირ ილიჩმა დაიწყო თავისი სარევოლიუციო მოღვაწეობა 1888 წ., იყო შენიშნული და შემდეგ დათხოვილი უნივერსიტეტიდან.

ანკეტაში ილიჩი იწყებს თავის პარტიულ სტაჟს 1895 წ., არა აქტიურ რევოლიუციურ მოღვაწეობის დაწყების ხანიდან, არამედ მის შემდეგ, რაც ის შეიქნა ორგანიზაციის წევრი.

დაწყებული 1888 წ მისი აქტიური მუშაობა გამოიხატა არა ლეგალურ წრეების დაარსებაში და იღებდა აგრეთვე მონაწილეობას არა ლეგალურ გამოცემებში.

1894 წ. მან დასწერა მთლიანი შრომები: „რა უნდა გავაკეთოთ“, და „ვინ არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს. და აგრეთვე მან დასწერა მთელი რიგი სხვა შრომებისა, რომელნიც დაედვენ საფუძვლად კომუნისტურ პარტიას და შეიქნენ მის პროგრამად.

ანკეტის მეცხრე პუნქტში ილიჩი ამბობს, რომ კარგად იცის მხოლოდ რუსული ენა, თუმცა იცის ევროპიული ენებიც, რომლებზედაც ის აკეთებდა მოხსენებებს და კითხულობდა რეფერატებს.

ამ უცხო ენებზე მას მშვენივრად შეეძლო თავისი აზრის გადაცემა, მაგრამ ის ამის შესახებ არ ლაპარაკობს, რადგანაც არ იცის ის ენები ისე, როგორც მაგალითად ფრანგული.

ილიჩის თავდაბლობა მოსჩანს ყოველ მის რევოლიუციონურ მოქმედებაში.

ის იყო არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ შთამაგონებელი დიდ წითელ ოქტომბრის, რომელმაც შეარხია მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო, მას ეჭირა საჭე მსოფლიო პროლეტარულ ხომალდის, რომელსაც უნდა წაეშალა დედამიწის სახიდან დამპალი და დრომოჭმული ფეოდალურ-კაპიტალისტური წესწყობილება.

ის აწყობდა მსოფლიო კომუნისტურ საბრძოლველ რაზმებს, ამწვავებდა მათში სიძულვილს ქვეყნის მჩაგვრელებისადმი და მაშინ ის იძლეოდა დიდებულ და სახელოვან ანდერძებს, რომელთა ასრულებას დღეს ფიცულობენ მრავალმილიონიანი მშრომელი მასსები და ქედს იხრიან მისი ნეშთის წინაშე. ილიჩი კითხვაზედ—იღებდა თუ არა ის მონაწილეობას გაფიცვებში, პოლიტიკურ დემონსტრაციებში, პირველ მაისის დღესასწაულებში, მიტინგებზე და სხვაგან, საკვირველი თავდაბლობით უპასუხებს „აქტიურად არა“.

და რაც უფრო ეცნობი და უკვირდები ჩვენს პროლეტარულ გენიოსს—ილიჩს, მით უფრო ხედავ, რომ ეს თავდაბლობა ახასიათებდა მხოლოდ და მხოლოდ მას.

ა. ლიცინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.

ჩვენი ბელადი **ლენინი** გარდაიცვალა.

მთელი ქვეყნის რევოლიუციონერ მუშათა ფართო წრეებში გლოვობენ **ლენინს**—მუშათა მოძრაობის ამ უდიდეს ბელადს. მაგრამ მწუხარება ძალას არ გვიკარგავს.

ამხანაგებო, მოვიგონოთ მადლობით მისი უკვდავი დამსახურება საქვეყნო მუშათა მოძრაობის წინაშე და მისი დიდი მაგალითით გამხნევებულნი ვეცადოთ განვახორციელოთ მისი ანდერძი.

როგორც **კარლ მარქსიც** ისე **ლენინიც**, მიუხედავათ მისი სიკვდილისა, სამუდამოთ დარჩება ჩვენ ბელადათ. მარქსმა მოგვცა ჩვენ პროლეტარიატის განთავისუფლების მოძღვრება—**ლენინმა** კი წაიყვანა პროლეტარიატი ამ მოძღვრების განხორციელების გზაზე.



ლენინი ავადმყოფი.

**ლენინმა შექმნა ძლევამოსილი რევოლიუციონური მუშათა პარტია—რუსეთის კომუნისტური პარტია.**

მას მტკიცედ სწამდა მუშათა კლასის რევოლიუციონური ძალა და იღვწოდა პარტიის შესაქმნელად. იგი ქმნიდა პარტიას საშინელ მძიმე პირობებში, დევნის დროს, როდესაც იგი განუწყვეტლივ ებრძოდა თვითმპყრობელობას, ხალხში გავრცელებულ ყალბ რწმენას და მუშების ცრუ ბელადთ, გამყიდველ „სოციალისტებს".

**საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ლენინის მოღვაწეობით ახალი ხანა დაიწყო.** თავის მოღვაწეობის პირველ დღიდანვე **ლენინი** რაინდულად შეებრძოლა იმ მოღალატურ, კაპიტალიზმის სულით გაჟღენთილ ხალხს, რომელნიც ბატონობდენ მე-2 ინტერნაციონალში.

იმპერიალისტურ ომის დასაწყისში, როდესაც ეს პარტიები სამარცხვინოდ წავიდენ ავაზაკურ კაპიტალისტურ მთავრობებთან სამსახურში—ლენინმა გენიალური წინაგრძნობით წამოაყენა ლოზუნგი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისა: „**იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად უნდა გადაიქცეს**" მან უსაზღვრო რევოლიუციონური რაინდობითა და რკინის ნებისყოფით ალჭურვილმა, 1917 წელს რუსეთის პროლეტარიატი წაიყვანა კაპიტალისტური ქვეყნის დასანგრევად.

თანამედროვე მუშათა მოძრაობის ყველა ბელადთა შორის მან პირველმა იგრძნო და ნათლად გაიგო გლეხობის პოლიტიკურ გამოღვიძების ისტორიული მნიშვნელობა და მტკიცე სამხედრო კავშირის შექმნის საჭიროება გლეხობასა და სამრეწველო პროლეტარიატს შორის, ამ უკანასკნელის მეთაურობით.

ყველაზე უფრო ადრე მან დაინახა მუშათა საბჭოებში პროლეტარიატის დიქტატურის მომავალი სახელმწიფოებრივი ფორმა, მან შეაკავშირა პროლეტარიატი შემდეგი ლოზუნგის გარშემო: „**მთელი ძალაუფლება საბჭოებს**".

მან შექმნა საბჭოთა ძალა-უფლება. მან მიიღო ყოველგვარი ზომა მშრომელთა მდგომარეობის განსამტკიცებლად და მის გარშემოკრებილ უამრავ მტერთა სასტიკ შემოტევისაგან გასანთავისუფლებლად.

ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ დაივიწყებს იმ დიდ მწუხარებას, რომელიც მოგვაყენა ჩვენ 1918 წელს ლენინზე მოწყობილმა საზიზღარმა თავდასხმამ. **ჩვენ ბრძოლაში არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ მუშათა კლასის გამცემთ მოწამლული ტყვიით სურდათ ჩვენი ძვირფასი ბელადის განგმირვა.**

კომუნისტური ინტერნაციონალი დაარსა **ლენინმა** ამ ხუთი წლის წინად.

**ლენინმა** მაშინვე განგვიმარტა, თუ რა მიზანი უნდა დაესახა ჩვენ ინტერნაციონალს. ეს უნდა გამოიხატებოდეს: „**სოციალიზმის სამხედრო მიზნებისა და მუშათა მოძრაობის განხორციელებაში**". ეს იყო სწორედ მისი საკუთარი ცხოვრების უპირველესი მიზანი. ისტორიას არ ახსოვს მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობის წმინდა იდეალისთვის თავდადების უფრო კეთილშობილი მა-



ლენინი მესაჭე.

გალითი. არასოდეს არავის არ გაუკეთებია იმდენი ამ მიზნის განსახორციელებლად, რამდენიც გააკეთა **ლენინმა.**

კომუნისტურ ინტერნაციონალში თავისი ხელმძღვანელობით მან მოგვცა მტკიცე საფუძველი ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის.

ამ საფუძველს პირველ ყოვლისა წარმოადგენს მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ თეორიაში განვითარებული და სინამდვილეში განხორციელებული მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოსა, რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურაზე—და აგრეთვე მისი ნათელი განმარტება ბურჟუაზიულ დემოკრატიისა.

მისი მოძღვრება დემოკრატიულ ცენტრალიზმზე და 1903 წ. მის მიერ მოცემული გენიალური აზრები რევოლიუციონურ მუშაობის მოწყობის შესახებ, ამ ჟამათაც უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ამ დარგში ჩვენი მუშაობისათვის. ამგვარსავე უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის მისი წინასწარმეტყველური სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა მან მე-4 მსოფლიო ყრილობაზე და მისი უკანასკნელი წერილი მსოფლიო რევოლიუციის შესახებ.

უდიდეს მნიშვნელობას აწერდა ის კომინტერნში ძველ მუშათა მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფისა და ბანაკის ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებას.

ერთ ერთ მეტად სერიოზულ მდგომარეობის დროს ჩვენ მოგვცა მან ლოზუნგი, თუ როგორ მიგვემხრო ალხი, რადგან ეს აუცილებელი იყო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის გერმანიის რევოლიუციონურ განვითარებას სულ უკანასკნელ დრომდე, როდესაც ჩვენ მაინც გვქონდა იმედი, რომ გერმანიაში პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებდა.

**ლენინი იყო და სამუდამოთ დარჩება მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის უკვდავი ბელადი.** თავის გენალურ შორსმჭვრეტელობით მან შესძლო აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ აღორძინების, რევოლიუციონურ აღმაფრენის და მათი ბრძოლის შეფასება ოქროს ბატონობისა და კაპიტალისტურ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მას სავსებით გათვალისწინებული ჰქონდა აღმოსავლეთის ხალხების აჯანყების მნიშვნელობა და დაუღალავათაც მუშაობდა ამ მიმართულებით. უპირველესად ყოვლისა მისი დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ კომინტერნმა შესძლო პოეტის სიტყვების განხორციელება:

**„ინტერნაციონალში ჰპოებს შვებას ყველა".**

ასეთივე გამჭრიახობა გამოიჩინა ლენინმა ახალგაზრდათა და ქალთა კომუნისტურ მოძრაობის საკითხში. ის აშკარად ხედავდა, რომ ახალგაზრდობისა და ქალთა მოძრაობა მოუღებს ბოლოს პროლეტარულ რევოლიუციის მთავარ მტერს—მასების უვიცობას და უმოქმედობას.

უზარმაზარ ნაბიჯებით,—როგორც ამას წინასწარმეტყველობდა ლენინი—მიდის წინ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია. ლენინზე მოგონებით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი ძალა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველა ქვეყნის რევოლიუციონურო პროლეტარებო! **ემზადეთ საბრძოლველად.** დეე, სიძულვილი კომუნიზმის მტრებისადმი ისეთივე ძლიერი და მუდმივი იყოს თქვენ გულებში, როგორც სიყვარული ლენინისადმი.

**ბრძოლისაკენ, ამხ. ლენინის აღთქმის სრულ განსახორციელებლათ.**

**ამ ბრძოლისაკენ მოუწოდებს კომინტერნის აღმასკომი ყველა თავის სექციას.**

ჩვენ მივმართავთ მილიონ ამხანაგებს მოწოდებით: „აასრულეთ ლენინის აღთქმები, რომლებიც ცოცხლობენ მის პარტიაში და ყველაფერში, რაც კი მისი შრომით არის შექმნილი. იბრძოლეთ, როგორც ლენინი და თქვენ როგორც ლენინი გაიმარჯვებთ".

## კომინტერნის აღმასკომი

თავმჯდომარე **ზინოვიევი. კლარა ცეტკინი** (გერმანია) **კოლაროვი** (ბულგარია), **ტერაჩინი** (იტალია), **სტიუარტი** (ინგლისი). **შტირნერი** (სამხრეთ აფრიკა), **შილერი, ბუხარინი** (სოც. საბ. რესპ. კავ.), **რადეკი** (ს. ს. რ. კ.) **პრუნიაკი** (პოლონეთი), **ამტერი** (ჩრდ. ამ. შეერთ. შტატ.) **კუუსინენ** (ფინლიანდია), **უნგერნ** (ახალგ. კომინტ.).

**წითელი პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო:**

**ლოზოვსკი, ჯონსონი. გამერი და ჯერმანენტო.**

# ლენინის გარდაცვალების გამო

**უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგატები საქ. ცაკის თავმჯდომარის მიხა ცხაკაიასთან და სახ. კომ. საბჭ. მოადგილე ლევან ღოღობერიძესთან.**

პარასკევს, 25 იანვარს დღის 1 საათზე საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მოადგილეს ამხ. ლევან ღოღობერიძეს წარუდგენ ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და საქართველოს ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგატები ლენინის სიკვდილის გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად. დელეგაციები მიღებულ იქნენ ც. ა. კ. თავმჯდომარის კაბინეტში ცაკის მდივნის პ. საბაშვილის, განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის და შრომის სახალხო კომისრის არჩილ მიქაძის თანადასწრებით.

პროფესორთა საბჭოს დელეგაციას წინ უძღოდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. დელეგაციაში შედიოდენ დამსახურებული პროფესორი მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, თიკანაძე, დიდებულიძე და მოსეშვილი.

ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგაციაში შედიოდენ: ხელოვანთა მთავარ კომიტეტის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარნოვი, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნინო ნაკაშიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, ალ. ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე და დ. შევარდნაძე.

პროფესორთა საბჭოს სახელით სამძიმარის სიტყვა სთქვა ივანე ჯავახიშვილმა, ხელოვნების ორგანიზაციათა სახელით კოტე მაყაშვილმა.

**მიხა ცხაკაიას სიტყვა.**

ამხანაგებო და მოქალაქენო. მადლობას მოგახსენებთ საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით იმ სიტყვებისათვის, რომლითაც თქვენმა წარმომადგენელმა გამოსთქვა მწუხარება ჩვენი უდიდესი მასწავლებლის და

მეგობრის სიკვდილის გამო. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი სიტყვები გულწრფელათ იყო ნათქვამი, და არ ჰქონდა მას ხასიათი მხოლოდ ფორმალურ დარბაზობისა. ახლა ჩემთან იყვნენ მეცნიერების წარმომადგენლები. თქვენ იგივე უნდა გითხრათ რაც იმათ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენ ხელოვნების წარმომადგენელნი, არტისტები, მხატვრები, მუსიკოსები, საზოგადოთ ხელოვნების მსახურნი, თქვენ უფრო სათუთი ნაწილი ხართ ინტელიგენციის და და კიდევ უფრო უნდა ბგერავდეთ თქვენი გულით იმ სწავლისათვის, რომელიც ცნობილია კომუნიზმათ და რომელსაც ჩაუყარა საძირკველი დიდებულმა ლენინმა და უფრო კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ლენინი არ იყო მარტო თავის პარტიისათვის, ის იყო მთელი კაცობრიობისათვის. ის იდეები, რომელსაც ანხორციელებს ჩვენი პარტია არიან საკაცობრიო იდეები, ლენინი და ჩვენი პარტია მხოლოდ ინიციატორებია ამ იდეის განხორციელებისათვის. კიდევ ერთხელ გიცხადებთ მადლობას.

ამის შემდეგ დელეგაციას სიტყვით მიმართა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ლევან ღოღობერიძემ.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მადლობას გიცხადებთ თანაგრძნობისათვის. ამხ. ლენინის სიკვდილი არ არის მწუხარება მარტო კომუნისტურ პარტიისა და ან რუსეთის. თავის მსოფლიო როლით ამხ. ლენინი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ჩვენთვის იმდენად მძიმეა დღევანდელი დღის გრძნობა, რომ მე და ჩემი ამხანაგებიც მოკლებულნი ვართ სიტყვის გამოთქმას. ლენინი არ არის მარტო ჩვენი პარტიის და არც მარტო მუშათა კლასის —ის ეკუთვნის აგრეთვე ხელოვნებას. და აქ ეძლევა დიდი გასაქანი ქართველ ხელოვანთაც. ამხანაგი ლენინის ცხოვრება იყო ბრძოლის პოეზია და პოეტები, მხატვრები, არტისტები მოვალენი არიან გამოჰკვეთონ მისი უკვდავი სახე. პირადად მე მინდა ქართველმა ხელოვნებამ იგრძნოს მისი დიდი ბუნება. რასაკვირველია, ეს არის მხოლოდ სურვილი და არა მთავრობის ბრძანება.

**ლენინი მუშათა კლასის ბელადობის გარდა არის უდიდესი მოსარჩლე ერთა ნამდვილი თავისუფლებისა.**

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხელოვნების წარმომადგენლები, რომელნიც უარყოფენ ძველი ცხოვრების უკანონობას, ერთგული მოკავშირენი არიან პროლეტარიატის, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აქ მოსვლა არ არის მარტო ოფიციალური ვალის მოხდა, არამედ გულწრფელი გამოთქმაა ჩვენი საერთო მწუხარებისა უდიდესი რევოლიუციონერისა და ჩვენი პარტიის ბელადის დაკარგვის გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მუშათა კლასთან ერთად მთელი მსოფლიო თანამედროვე ხელოვნება იგრძნობს ამხ. ლენინის სიკვდილს.

მადლობას მოგახსენებთ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით თქვენ და აგრეთვე მთელ ქართულ ხელოვნების მოღვაწეთ, ვინც თქვენ აქ გამოგზავნათ.

### მ. ცხაკაიას სიტყვა.

პროფესორთა საბჭოს დელეგაციისადმი.

ამხანაგებო და მოქალაქენო—მადლობას გწირავთ იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც თქვენ საქართველოს ინტელიგენციის უკეთესი ნაწილი გვიცხადებთ იმ საშინელი დაკარგვისა გამო, რომელიც ეწვია საბჭოთა ქვეყანას და კომუნისტურ პარტიას.

ეს დაკარგვა მით უმეტეს საშინელია და სამწუხარო, რომ ამხ. ლენინი ძლივს გადასცდა 50 წელს—ეს ასაკი, თქვენ მოგეხსენებათ, მეცნიერთათვის და დიდ მოღვაწეთათვის არის მხოლოდ აყვავილებული, გაფურჩქვნილი ახალგაზრდობა. ლენინმა იმდენიც ვერ იცხოვრა, რამდენიც კარლ მარქსმა, რომელიც 65 წლის გარდაიცვალა—ჩვენ მასაც „ვტიროდით“, ვინაიდან იმ დროს კარლ მარქსი იყო იმდროისათვის ყველაზე უფრო მდიდარი და გამობრძმედილი ცხოვრების გამოცდებით და არამც თუ მარტო გენიოსი ბუნებრივათ:—და მაშასადამე მას შეეძლო კიდევ მეტი ღვაწლი დაედო კაცობრიობის საკეთილდღეოთ მებრძოლ პროლეტარიატისათვის და დაეჩქარებინა მისი განთავისუფლების დრო.

თქვენ კარგათ იცით, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლები მაგალითად: დარვინი, ტოლსტოი და ბევრი სხვა 80 წელს გადასცდენ.

ჩვენ მებრძოლი მასწავლებლები კი მარქსი და ლენინი შემქმნელნი კომუნიზმისა და საბჭოთა ქვეყნისა კი ასე ადრე მოსწყდენ თავის დიდებულ მოღვაწეობას...

თქვენ, მოქალაქენო, კარგათ იცით, რომ ამხ. ლენინი შემქმნელია და სულის ჩამდგმელია იმ წესწყობილებისა, რომელშიაც თქვენ ჩვენთან ერთად ჰპოულობთ, მე მგონია საუკეთესო პირობებს მოღვაწეობისათვის, ვინემ როდისმე—წინეთ ჰპოულობდით თქვენი სამეცნიერო და ყოველგვარი სხვა მოღვაწეობისათვის ხელ-მომწყობელ პირობებს; მერწმუნეთ, თუ არ ეს წესწყობილება, ბურჟუაზიულ წესწყობილებას არ შეეძლო განეგრძო ისეთი ხელშემწყობი პირობები, რომელიც მისცემს მეცნიერებას დიადი ნაბიჯების გადადგმას კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

მე მახსოვს ჩივილი წარსულ საუკუნის მიწურულში და ამ საუკუნის დასაწყისში ბევრი ბურჟუაზიულ მეცნიერებისა და სხვათა შორის ინგლისის: რომ მეცნიერება გაკოტრდა, რომ მას არ შეუძლია ძველებურათ დიადი აღმოჩენანი და დიდი სისტემების შექმნა.

სრულიად საფუძვლიანად უპასუხებდენ ამას რადიკალური ელემენტები, რომ ეს მართალია და ესოდენ გაგრძელდება სანამ დიდი დავა კაპიტალსა და შრომის შორის არ გადაწყდება და ბოლო არ მოეღება იმ ხალხის მასებისათვის სულის შემხუთველ ატმოსფერეს, რომელსაც ჰქმნის დაუსრულებელი და ალვირ ახსნილი ექსპლოატაცია კაპიტალისტებისა.—კაპიტალიზმს უნდა მოეღოს ბოლო და დამკვიდრდეს შრომის მეუფება.

აი მოქალაქენო ის ვისიც დაკარგვას თქვენ მისამძიმრებთ, ესე იგი „უბედურ“ ამხ. ლენინისას—მან ჩაუყარა ძირი აი ამ ახალ მეუფებას და მეექვსედ ნაწილ დედამიწისას. მოუღო კაპიტალიზმს ბოლო და საბჭოების მუშათა და გლეხთა მთავრობას „მუშათა დიკტატურის და კომპარტიის“ ხელმძღვანელობით გაუკაფა გზა მომავალისაკენ...

მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო და გაადვილება საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა, რომ დედამიწის ზურგზე ჩვენ ქვეყანასავით საბჭოთა ძალა-უფლება დაარსებულიყო და მით კომუნიზმის განსახორციელებლათ შემოკრებულიყო...

მაგრამ ეს ასე არ შეიქმნა. ჩვენ სრულად და სავსებით კომუნისტურ პარტიის დიქტატურას და საბჭოთა დიდ კავშირს განვაგრძობთ; არ ულალატებთ მის ხაზს და იმედი გვაქვს ჩვენც მივაღწევთ დანიშნულ მიზანს.

მისი ხატება წინამძღვარი იქნება ჩვენი.

და თქვენ მოქალაქენო, როგორც მაღალი კვალიფიკაციის და გონებრივი მუშაობის წარმომადგენელნი—თქვენ თანაგრძნობას განახორციელებთ უფრო უკეთ იმით რომ ყოველ დღე მოგვიმზადებთ თქვენს აუდიტორიებში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ისეთ მოქალაქეთ, რომელნიც სულით და გულით იქნებიან წარმომადგენელნი და იქნებიან გაჟღენთილნი კაცობრიობის გაერთიანებით, კომუნისტურ იდეებით.

მერწმუნეთ, კომუნიზმი სრულიად არ არის ჯგუფური და პარტიული მოძღვრება „თავის-თავად“ — ის არის სრულიად საკაცობრიო.

— თუ ის დღეს პარტიულია, მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს უნდა აელო წინამძღოლობა კაცობრიობის და ძველი ქვეყნის გადაკეთებისა და ასეთი ვინ იქნებოდა თუ არა კაცობრიობის ყველაზე დატანჯული და დაჩაგრული ნაწილი ე. ი. პროლეტარიატი.

აი სად იმალება საიდუმლოება იმისა, რომ პროლეტარიატი დღეს არის მესვეური კომუნიზმისა და მედროშე კომუნისტურ ინტერნაციონალისა.

აი მოქალაქენო, ჩემი მადლობის სიტყვა და იმედი მაქვს, რომ თქვენც და თქვენი მოსწავლენიც იგულისხმებთ ამას და თქვენ გაამართლებთ ჩვენს და ისტორიის იმედებს, რადგანაც ინტელიგენცია ეს ერბო-ნაღებია წარსული დიდი ბრძოლისა და უნდა მოუდგეს „მართალთა“. ასეთი კი ჩვენა ვართ—მუშურ-გლეხური მთავრობა.

გაუმარჯოს თქვენს მუშაობას, თქვენს შრომას. კიდევ გმადლობთ.

**პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. კახიანი.**

გამომცემელი: **სახელმწიფო გამომცემლობა.**

ს. ს. მ. ჟ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91. ტირაჟი 1000 ც.

## ამიერკავკასიის რკინის გზის ქალაქის სადგური

და

# საკომერციო სააგენტო.

## ტფილისში

ამით აუწყებს რომ 6 იანვრიდან 1924 წ. **გადატანილ იქმნა ახალ ბინაზე, განოვის ქ. № 3. დაიწყო ოპერაციები ბილეთების გასყიდვისა ყველა მატარებლებზე, წერილობით ან და ტელეფონით შეკვეთით და სახლში მიტანით საგანგებო შიკრიკის საშუალებით.**

მგზავრებს, რომელთაც კი სურთ ბილეთის მიღება სახლში პლაცკარტით თუ უპლაცკარტოთ ატყობინებენ თავიანთ შიკრიკის საშუალებით წერილობით ან ტელეფონით № 9—74 გამგზავრების დროსა და დანიშნულების ადგილის შესახებ.

ბილეთები ქალაქის სადგურის მიერ იქნება მიტანილი **სახლში დანიშნულ დროზე.**

ბილეთების სახლში მიტანისათვის მგზავრები იხდიან: ადგილობრივ გამგზავრების ბილეთების 50 კ. ჩერვონეცით პირდაპირ მიმართულებაზე 1 მან. ჩერვონეცით. შიკრიკს ნება არა აქვს აიღოს ზედმეტი გასამრჯელო, გარდა იმ თანხისა რომელიც აღნიშნულია ბილეთთან თანდართულ ანგარიშში.

## საკომერციო სააგენტო აწარმოებს

## შემდეგ ოპერაციებს

1) სესხის მიცემა საფრახტო და საკომერციო საქონელ ქვეშ.

2) საქონლის სყიდვა და გასყიდვა კლიენტების დავალებით.

3) საქონლის გადაზიდვა რკ. გზის გრუზოვიკებით რკ. გზის სადგურებზე და უკანვე.

4) ბარგის და ტვირთების გაგზავნა და გაცემა სასწრაფოდ და ფრაქტის კრედ. ქვეშ.

5) საბაჟო ფორმალურ მხარეების შესრულება (ბაჟის გადახდა, თვალყურის გდება და სხ.)

6) მინდობილებათა მიღება საქონლის გაზიდვის შესახებ **სპარსეთში** ბაქო ბათომის გზით.

7) მინდობილობათა მიღება საქონლის გაზიდვის შესახებ **ოსმალეთსა** და **ევროპაში** ბათომის გზით.

8) ფასდადებითი ოპერაციების წარმოება. „ინკასსო' გადახდისა კლიენტების დავალებით.

**ამიერკავკასიის რკ. გზ. ქალაქის სადგურები იმყოფებიან ქალაქებში: მოსკოვსა, ბათომსა, ბაქოსა, განჯასა, ერევანსა, თელავსა და ტფილისში.**

5

ფასი 20 კაპ. ჩერვ.

1924 წლის 1-ლ იანვრიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გახსნა

# საკუთარი სტამბა,

სადაც სწრაფად, ფაქიზად და ზომიერ ფასებში სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმეები.
**სტამბასთან გამართულია აგრეთვე წიგნთ-ასაკინძი სახელოსნო.**
შეკვეთების მიღება შეიძლება ყოველ დღე სტამბაში—ლ. დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ველიამინოვისა).
ტელეფ. № 16—47 და 13—63.

**წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.**

---

1924 წლის იანვრიდან გამოდის

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პერიოდული გამოცემა

# „ბიულეტენი“

შემდეგის შინაარსით: მთავრობის განკარგულებანი წით. ჯვრის შესახებ; წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის საქმიანობა; ავტონომიური ერთეულების წითელ ჯვართა და ცენტრალური კომიტეტის ფილიალების მოღვაწეობა; საკავშირო რესპუბლიკებისა და საერთაშორისო წით. ჯვრების ქრონიკა: წერილები საექიმო-სასანიტარო დარგიდან და სხვ.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

**მისამართი: ცენტრ. კომიტეტი. თაიროვის შესახვევი № 5. (ლენინის ქუჩიდან).**

---

დაიბეჭდა და გამოვიდა

საქ. წ. ჯვრის მიერ გამოცემული
ექ. ბეს. ოქროპირიძის წიგნი

# „მალარია“.

**ფასი 20 კ. ჩერვ.** მთავარი საწყობი წ. ჯვრ. ცენტრ. კომიტეტში, თაიროვის შეს.

---

# მზად არის დასაბეჭდად:

ა) ექ. ბეს. ოქროპირიძის მიერ გერმანულიდან ნათარგმნი, ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პროფესორების ნოხტისა და მაიერის წიგნი: „მ ა ლ ა რ ი ა“, რომელსაც უძღვის ქართული გამოცემისთვის ავტორების მიერ საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა.

ბ) წით. ჯვრის საზოგადოების გადამუშავებული წესდების პროექტი.

გ) საზოგადოების წლიური ანგარიში.

დ) ჟენევის 1906 წლის გადასინჯული კონვენცია.

---

**კირკის ქუჩაზე, (по кирочной) გრუენდზიცის ყოფილ აფთიაქში, გაიხსნა**

# საქართველოს წითელი ჯვრის აფთიაქი,

საიდანაც ღარიბებს შეღავათიანს პირობებში ეძლევათ წამლეულობა.

---

# საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში

წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა მიღება სწარმოებს მთავარ სამმართველოში (თაიროვის შესახვევი № 5, ლენინის ქუჩიდან, ყოფ. ოლღას ქ.) ყოველდღე 10—3 საათამდე, კვირა უქმეებს გარდა.